

რედაქტორის სვეტი

გეგერქვეზე —
ჩვენი მეგობარი

საქართველოს საგარეო პოლიტიკა ყოველთვის იყო და-
ფუძნებული ისეთ ღირებულებებზე, როგორიცაა თანასწო-
რუფლებიანობა და სამართლიანობა. არასოდეს, მაშინაც
კი, როცა საქართველო უძლიერესი სახელმწიფო იყო და
მის სამხედრო ძალებს მუსულმანები ალაჰის სასჯელს
უწოდებდნენ, არ ჰქონია მკვეთრად გამოხატული დაპყრობის
სურვილი და პოლიტიკა. ჩვენი ყოველი ლაშქრობა მიზნად
ისახავდა ჩვენივე ქვეყნის დაცვას. სამწუხაროა, რომ სხვა
სახელმწიფოებს (დღეს „უფროს ძმებს“ ვისაუბრებთ) არა-
სოდეს გააჩნდათ ჩვენსავით კეთილშობილი მიზნები და
კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ ჩვენ მათგანაც ისეთივე
კეთილშობილ და რაინდულ საქციელს ველოდით, როგო-
რიც ჩვენ გვახსიათებდა. სწორედ ამ ნდობამ (ჩემი აზრით
გაუმართლებელმა, თუმცა ეს ცალკე სტატიის თემაა) და-
ასვა საქართველო-რუსეთის ურთიერთობას ორი ყანწი (ტრაქ-
ტატზე მეფის ხელრთვას „ერეკლე“ ორივე „ე“-ს ყანწის
ფორმა აქვს), თუმცა მაშინ მიაბიტი ქვეყნის მიმდებარე მხევე
ძნელად თუ წარმოიდგენდა, რომ ხელშეკრულებაზე ყანწის
დასმით ქართულ სახელმწიფოებრიობას ჯვარს უსვამდა.
იმ წლის შემდეგ კი (1783) საქართველო განვითარების
ახალ (თუმცა არა უფრო კარგ და უფრო მაღალ) საფეხურ-
ზე გადავიდა (თუ ჩავიდა?). აღარ დავიწყებ იმის მოყოლას
თუ როგორ ჯანყდებოდა სრულიად საქართველო, როგორ
ცდილობდა რუსეთი ქართული სახელმწიფოებრიობის ნარ-
ჩენების ჩაკვლას და როგორ არღვევდა ყოველ ნაბიჯზე
შეთანხმებებს. უბრალოდ გაგახსენებთ, 1921 წლის 25 თებერ-
ვალს, თბილისიდან გაგზავნილ ვერაგულ დეპეშას ქალა-
ქის თავზე მოფრიალე დროშის შესახებ, იუნკრების უდრე-
კობით გაოცებული რუსი გენერლების სახეებს, 1956 წლის
9 მარტს, იმ შეურაცხყოფას, რომელსაც ქართველები
გრძნობდნენ რუსული „დერჟავას“ დაცვისას, 1992 წლის
აპრილს, იმ ადამიანთა სულებს, რომელთა სახელიც დღეს
მემორიალებზე ბრწყინავს, სოხუმის სანაპიროს, ბაგრატი-
ის საფლავს ბედიის ტაძარში, შიდა ქართლის ველებს, ლიახვს
და ბოლოს, იმ განცდას, რომელიც, დარწმუნებული ვარ,
დაგვეფლავა, როცა ქართულ ქუჩებში რუსულ კოლონებს
და კედელზე წერა-კითხვის არც თუ ისე კარგი მცოდნის
მიერ მიჯღაბნილ წარწერას-„წინ, თბილისისაკენ“ ხედავ-
დით.

ორი წელი გავიდა იმ აგვისტოდან და, ვიცი, რომ ჩვენ
დამარცხება არ გვიწერია. ამაში მარწმუნებს ის ყვაი-
ლები, აგვისტოს გმირების საფლავებზე ჯერ კიდევ
გაუხსნელ მემორიალთან ნამალავად, ღამობით რომ მი-
აქვთ ახალგაზრდებს. მჯერა, რომ ეს ყვაილები ჩვენი
გაუტყუებლობისა და გამარჯვების წყურვილის სიმბოლოა,
იმის სიმბოლოა, რომ გმირებს დავიწყება არ უწერიათ და
ქვეყანა ხომ მანამ არსებობს, სანამ წარსულსა და გმი-
რებს აფასებს. 8 აგვისტოს ზობში აგვისტოს ომში გმირუ-
ლად დაღუპულთა მემორიალი გაიხსნა, ეს კი იმას ნიშ-
ნავს, რომ ჩვენ გვახსოვს ისინი და ჩვენ გვახსოვს საქარ-
თველო.

სანამ ვიქნებით ერთად, ღირსებით აღჭურვილნი და სი-
მართლით, რწმენით და სამშობლოს სიყვარულით შეჯავ-
შულნი, გამარჯვება იქნება ჩვენი მეგობარი...

მანანა შულაია

სრულიად საქართველოს კათოლიკოს – კატარიძე, უფინდესა და უნეტარეს ილია II-ს

უწმინდესი და უნეტარესი, ღვთის ნაყდრის საცაბთელთ თქუენის ლდგვით განსადრელთაგან მბაჟალჟებ სსნილთა...

ების ჩუენის გადსაბჩენად აღუენილი ლდგვა-სამმდღოს სიციჟარულით გაჟერქმული-ნათლის სუენად მესდგმთა „იუბთ ძუეჟანას“

დღე მთაბელი ანგულმზისა, გასსიჟმსნქმული წმინდა ილია მბათლის მადლით-მთაბელმბა მბეულისა თქუენისა, ბმდღის მადლთა და ცდრვათა მტუიბთუელად მდრქეილად ლდგულმდთ.

საქაბთელუმს უბეულისი ჟუთსი ჟდლსიკი და გული მისი სდმი, სადც ლდგვანი თქუენი აღუენილთა ძბისცესმიკი სიციჟარულით გილდგავთ „ანგულმზის დღეს“ და მუეოსდეთ უბაღს მბაჟალი წლის სიენდესლეს თქუენისა, უწმინდესი და უნეტარესი-ების ჩუენის განსაბდიერქმლად და განსამტვიცერქმლად.

სოხის მუნიციპალიტეტის გამგებელი იგორ ტყეპუჩაშა



სოხში 2008 წლის 8 აგვისტოს ომში დაღუპულთა მემორიალი გაიხსნა

2008 წლის 8 აგვისტო-ტკივილით, გოლგოთა ცრემლით სავსე დღე.

2010 წლის 8 აგვისტო დღე, იმედით და რწმენით აღსავსე... როცა ერთხელ კიდევ მოუხმეთ ჩვენს შვილებს, მოვეყვრეთ, მუხლი მოუვდრიკეთ, მათ სახელებს ვეამბორეთ, ვუ-ჩურჩულეთ, რომ თითოეული მათგანი გვიყვარს, გვენატრება, რომ ისინი მუ-დამ იქნებიან დღევანდე-ლობისა და მომავლის ბალა-ვარი, რომ მათ მიერ სისხლით მოპოვებული მშვიდობის ფასად დგას ამა-ყად დღეს ქართული სახელმწიფოებრიობა. ისი-ნი ზომ ასობით იყვნენ და ვერაგ, უბოროტეს მტერს (მტერსაც გააჩნია) აჩვენებს, რომ ჩვენს ქვეყანას ვერაგინ დაამარცხებს, რადგან ჩვენი ძალა სამშობლოს სიყვარულშია. ყოველდღე სანთლებს ვანთებთ მათი სუ-
→ 3

საქართველოს
ქართვიდან
დაღვრილი სისხლი

მიხეილ, დათა, გოგა, ლევან, კიდევ ლევან, კიდევ გოგა, ზვიად, გოგიტა, რამაზ, უპირველესად მეც და ყველა თქვენი ჭირისუფალი გეხმეიანებით თქვენ და თქვენთან ერთად ყველა იმ ბიჭებს, რომლებსაც სიცოცხლე მამულის სამსხვერპლოზე მიგიტანიათ.

გმირობა სათქმელად ადვილია, მაგრამ სინამდვილეში ხიდა ბეწვის – ძნელად გასაველი, გზაა ქრისტესი გოლგოთამდე ასასვლელი ... შეიძლება ამ გზის გავლას წლები მოანდომო, მთელი ცხოვრებაც, მაგრამ არაფერი გამოგივიდეს და დარჩე უფერული. ამავე დროს შეიძლება წუთში გაიარო კიდევ და გმირობის შარავანდედი დაიღვა თავზე ...

შეილებო, ჩემო პირტიტველა ბიჭებო, თქვენ ეს თვალის ახელაზე უმაღლეს შეძელით. მამულის დაბახილზე თქვენმა ერ-თგულებამ კიდევ ერთხელ განგაცდევინა სამამულისათა-სწლოვანი ქართული სისხლის დუდილის სიძლიერე. იმ სისხლისა, რომელიც უმოწყალოდ იღვრებოდა მტრისაგან და დაწრეტილი, წვეთისამარა დარჩენილი ეროვნული ძარ-ღვი რაღაც ღვთისური განგებულებით კვლავ აღივსებოდა.

ბიჭებო ... თქვენი დაღვრილი სისხლი ერთიანი საქართვე-
→ 3

12 აგვისტო „ეროვნოზა – 2010“

აღმსარებელმან შენმა, უფალო, ცოტნე, რომელმან ერ-თგულებითა და სიმტკიცითა თვისითა განაცვიფრა მტერი ქართველთა და იხსნა ერი თვისი განსაცდელისაგან, რამე-თუ აქუნდა მას შემდეგ ძალი, მისითა მეოხებითა, ქრისტე ღმერთო, აცხოვენ სული წმინდა.

კონდაკი

დღესასწაულების დღეს ეკლესიაი პატიოსანსა ხსე-ნებასა შენსა, წმიდაო აღმსარებლო ცოტნე, და შემოკრებს შვილთა ივერიის ეკლესიისა, რომელნი აღიდებენ ღვთივ სათნოსა განზრახვასა შენსა, რამეთუ სახედ ექმენ ერსა შენსა, ვითარცა აღმსრულებელი მცნებისაი, ამისთვისაც სიხარულით აღვასრულებდეთ სახელსა შენსა, წმიდაო აღ-მსარებლო, საქართველოსთვის თავდადებულ ცოტნე.

12 აგვისტო საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესი-ამ წმინდა ცოტნე დადიანის ხსენების დღედ აღიარა.

12 აგვისტო- ზობის სინამდვილეში ასევე სახალხო დღე-სასწაულის დღეაა მიჩნეული, რამეთუ გუბაზ მეფის მკვლე-ლობის ადგილას განმტკიცებულ ზობის მონასტერს ჩაეკირა სახელი - ცოტნე დადიანისა.

12 აგვისტოს- ზობი კიდევ ერთხელ შეავდრებს წმინდა-ნად შერაცხულ აღმსარებელს უფლის მცნებისა-სრულიად საქართველოს ძლიერებას, ილოცებს იმ ცოტნე დადიანზე, რომლის მაგალითზე XXI საუკუნის ზობმა კვლავ შესძლო-XXI-ე საუკუნის ცოტნეთა გამოზრდა.

ამ დღეს აღვენილი ღოცვა განაძლიერებს მის ნამუხლარ ზობს და სრულიად საქართველოს.

კადრები

დაინიშნენ:

როზეტა შულაია—მუნიციპალიტეტის გამ-გებლის თანამეშველ.

იური ბუკია—გამგებობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსად.

ანტონ ვარდია — ეკონომიკისა და ინფრას-ტრუქტურის განვითარების სამსახურის მუნიციპა-ლური ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების, სოფლის მეურნეობის ტრანსპორტის რეგულირების

და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილების უფროსად.

მანანა შულაია—გაზეთ „ახალი სამკუთხედის“ რედაქტორად.

ლექსო კეშულარია—ზობის მუნიციპალიტე-ტის კულტურის ცენტრის დირექტორად.

ბუთხუზ ზორაგა—შ.პ.ს. საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ზობის სერვის-ცენტრის დირექტორად.

გორა შანავა—მუნიციპალიტეტის გამგებლის რწმუნებულად სოფელ ხეთაში.

12 აგვისტო
სოხი
ტრადიციული
სეკლესიო
სახალხო
ღვთისწაული
სოტნეობა

ჩაღვრება

1. 9-00 სთ — წირვა სობის ეფთისწობდის მამონტის სახელობის ტაძარში.

2. 13-00 სთ — ქართული უდიდობა მართლმადიდებლური გათვლითა-გაყიდვა (სოხის უფროსი ტყე-პარკი)

3. 14-00 სთ — მსაბრუნო კომპოზიცია (სოხის უფროსი ტყე-პარკი)

ჩაღვრება

ჩაღვრება მდელი ვანაშინი,
მეჭმ-მეჭმელებ ჩაღვრება
და ჩაღვრება ჩაღვრება,
მეჭმ-მეჭმელებ ჩაღვრება,
მეჭმ-მეჭმელებ ჩაღვრება,
მეჭმ-მეჭმელებ ჩაღვრება,
მეჭმ-მეჭმელებ ჩაღვრება,
მეჭმ-მეჭმელებ ჩაღვრება!

საქართველოს პრეზიდენტი კათალიკოს კატარიკოტთან ერთად მუხათგვერდის კმათა სასაფლაოზე მივიდა

საქართველოს პრეზიდენტი კათალიკოს კატარიკოტთან და თავდაცვის მინისტრთან ერთად მუხათგვერდის ძმთა სასაფლაოზე მივიდა. მიხეილ სააკაშვილმა გვირგვინით შეამკო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული გმირების მემორიალი. საქართველოს პრეზიდენტმა რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მეომრების ოჯახებს მხნეობისა და გამძლეობისთვის მადლობა გადაუხადა. მიხეილ სააკაშვილმა კატარიკოტთან ერთად მუხათგვერდის ძმთა სასაფლაოზე დაღუპული მეომრების ხსოვნას პატივი კიდევ ერთხელ მიაგო და სასაფლაოზე გახსნილი ეკლესია დაათვალიერა.

„პატივცემულო ჯარისკაცებო, სერჟანტებო, ოფიცრებო. პირველ რიგში მინდა მივმართო ჩვენი დაღუპული ჯარისკაცების ოჯახის წევრებს.

ჩვენმა ბიჭებმა ჩაიდინეს გმირული საქციელი, თავი გასწირეს იმისათვის, რომ საქართველოს კარზე მომდგარი ბარბაროსები მაქსიმალურად შეეჩერებინათ. ეს არ არის შემთხვევითი, ეს დადასტურა ამ ბოლო ორმა წელიწადმა.

თქვენ ნახეთ, როგორ შეინარჩუნეს მათმა ოჯახებმა ღირსება. როგორ ამაყად შეინახეს თავიანთი დიდი სევდა. ეს ყველაზე დიდი ძეგლია ჩვენი ბიჭების ხსოვნისთვის. თქვენ ნახეთ, როგორ გაუძლეს წნეხს, ცდუნებას, პროვოკაციას, როგორ გაუძლეს ყველანი მცდელობას ჩრდილი მიეყენებინათ მათი დაღუპული შვილების ხსოვნისთვის, როგორ ამაყად, თავაწულად შეინახეს თავისი დიდი სევდა, დიდი ტრაგედია. ეს არის ყველაზე დიდი ძეგლი ჩვენი ბიჭების ხსოვნისთვის.

ეს არის დასტური იმისა, რომ ერთი საყვედური არ დაგცდენიათ, ერთი მწარედ არ დაგიჩივლიათ, თუმცა დასაჩივლო ბევრია. ეს არის ის, რომ დედებს გმირები შემთხვევით არ უჩნდებიან.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ამ განსაცდელში ქართველი დედების ღირსების ასე ბრწყინვალე გამოვლინებისთვის.

ჩვენ ძალიან ვამაყობთ ჩვენი ჯარისკაცებით, ჩვენი გმირებით.

თავდასხმა ორი წლის წინ იყო მოსალოდნელი და მოულოდნელიც.

ის, რომ მტერი ემზადებოდა 3 წლის განმავლობაში ომისთვის, და-

დასტურებულია და არც მალავს.

2008 წლის გაზაფხულზე პროვოკაციები ყოველდღიურ ხასიათს ატარებდა. კარგად მახსოვს, რამდენი ყოფიანი და ფიქრი დაგვეკირდა იმაზე, გამოგვეზმო თუ არა ჩვენი ბრიგადა ერაყიდან, რადგან რუსეთის ჯარი იზრდებოდა ოკუპირებულ რეგიონებში, მაგრამ არ გამოვიხმეთ, რადგან ესეც პროვოკაციად აღიქმებოდა. მე ძალიან ვამაყობ ადამიანების უფლებების საერთაშორისო ორგანიზაციების გამოკვლევებით.

თქვენ ისიც კარგად იცით, რომ ბევრი თქვენი ოჯახის წევრი იყო შევსებულბაში, მაგრამ ასეთია ჩვენი მრავალეთნიკური შვილების ბედი.

თავდასხმა ჩვენს ისტორიაში ხშირად ყოფილა და ჩვენი ინსტიტუტა ჩქარი მობილიზაცია და მტრის შესაჩერებლად დახვედრა.

ძალიან ვამაყობ ყველა სხვა მოქმედებებთან ერთად, რომელიც ჩვენმა ბიჭებმა ჩაიდინეს, ადამიანთა უფლებების საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევებით.

როცა ჩვენი ჯარისკაცები შედიოდნენ სოფლებში, მოსახლეობას ეუბნებოდნენ, ნუ გეშინიათ, ჩვენ გვაქვს მიღებული დავალება, რომ მაქსიმალურად გაგიფრთხილდეთ, გვიყვარხართ, თქვენ ერთი თმა არ უნდა ჩამოგვივარდეთ. ამას კი ყვებოდა ის ხალხი, ვინც იყო გამწარებული საბრძოლო მოქმედებების შედეგად.

მე მითხრა ერთმა თანამდებობის პირმა, რომ დაავალა თავის დაქვემდებარებულ სამსახურს, შეესწავლა, რას ფიქრობს დღეს ცხინვალში დარჩენილი მოსახლეობა. მან თქვა, რომ ცხინვალში დარჩენილი მოსახლეობა არ ამტყუნებს საქართველოს. ეს ჩემთვის იყო დიდი აღმოჩენა, რადგან ამას მომავლისთვის დიდ მნიშვნელობა აქვს.

მათი უმრავლესობა არის ეთნიკური ოსი და მათი უმრავლესობა აქეთ წამოვიდა.

მათ დაინახეს, როგორ თავგანწირვით იბრძოდნენ ჩვენი ბიჭები მათი ისიცოცხლის შესანარჩუნებლად.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ორი რეგიონი უკვე არის ოკუპირებული, მტერმა ვერ მოახერხა საქართველოს მიმართ გეოპოლიტიკური მიზნების განხორციელება.

ჩვენმა ბიჭებმა დაანახეს, რომ საქართველოს შეუძლია ბრძოლა.

მტერმა ვერ მოახერხა თავისი მთავარი ამოცანების გადაწყვეტა, საქართველოს ხელისუფლების დამხობა და საქართველოს პოლიტიკური კურსის შეცვლა. ვერ მოახერხა საქართველოს იზოლაცია და თავად აღმოჩნდა საერთაშორისო იზოლაციაში.

მტერმა ვერ მოახერხა საქართველოს განადგურებით და დაშინებით პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველა ერის დაშინება და საბჭოთა გავლენის სფეროს აღდგენა.

მტერმა არა თუ ვერ მოახერხა საქართველოს დამორჩილება, არამედ საქართველო, როგორც დაუმორჩილებელი ერი გახდა წარმატების სიმბოლო ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყნისთვის. საქართველო გამოდის რუსული იმპერიალისტური გავლენის სფეროდან და ეს საშვილიშვილო პროცესია. სულ უფრო მეტი ხალხი იღებს ხმას თავისუფლებისთვის.

მტერმა ვერ მოახერხა საქართველოს წელში გატეხა ეკონომიკურად, უფრო მეტიც, ჩვენი ქვეყანა შენდება და ვითარდება.

როცა საქართველო ვითარდებოდა, ყოველთვის აშენებდა ეკლესიას და ტაძრებს.

ჩვენი რწმენა და სახელმწიფოებრიობა განუყოფელია. აქ იმყოფება პატრიარქი, სიმბოლო და უმარცხებლობის.

ეს ეკლესია, რომელიც აქ აშენდა, ეძღვნება ჩვენს ბიჭებს.

ყოველი წაბორძიკების შემდეგ, ვალდებული ვართ წამოვდგეთ და გაავარძელოთ ჩვენი გზა, ვინაიდან ჩვენი წარმატებების გზა ეძღვნება ჩვენს ბიჭებს.

ჩვენი ცხოვრება ეძღვნება ჩვენს ქვეყანას და იმ ბიჭებს, ვინც თავი გასწირეს ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი ცხოვრება არის ბრძოლა საქართველოს საბოლოო გამარჯვებისთვის და განვითარებისთვის.

მარადიული ხსოვნა იყოს ჩვენი ბიჭების, გმირების. ყველას მინდა გისურვოთ გამძლეობა, მხნეობა. ყველამ ერთად ვუსურვოთ ჯარს, ყოვლად და სულიერ მხედრობას საბოლოო გამარჯვება.

ღმერთი იყოს ჩვენი სამშობლოს მფარველი.“ განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

მიხეილ სააკაშვილი - ჩვენი ბრძოლა გაგრძელდება, ვიდრე უკანასკნელი ოკუპანტი არ დატოვებს საქართველოს მიწას



საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა 2008 წლის აგვისტოს ომის წლისთავთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა.

მიხეილ სააკაშვილის თქმით, საქართველოს წინააღმდეგ რუსული აგრესია 2008 წელს არ დაწყებულა - რუსული აგრესია დაიწყო გაცილებით ადრე და დღესაც არ არის დასრულებული.

ეს აგრესია დღემდე არ არის შეწყვეტილი, დღემდე არ არის დამთავრებული და ჩვენი ბრძოლა გაგრძელდება, ვიდრე უკანასკნელი ოკუპანტი არ დატოვებს საქართველოს მიწას; ვიდრე არ აღდგება სამართლიანობა ასობით

ათასი სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის საქართველოს მოქალაქეების მიმართ, რომლებიც იძულებულნი იყვნენ, დაეტოვებინათ თავიანთი სახლები, ქალაქები და სოფლები, - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

მისივე თქმით, 2008 წელს ქართველ ჯარისკაცებს საკუთარი სიცოცხლის ფასად, იარაღით ხელში მოუხდათ თავისი ქვეყნის ღირსების, თავისუფლებისა და მომავლის დაცვა.

ამგვარად, თუნდაც ამ ბიჭების ხსოვნის წინაშე თითოეული ჩვენგანი ვალდებულია, ყოველდღიურად აწარმოოს ეს ბრძოლა, აწარმოოს ბრძოლა ქვეყნის შიგნით, ქვეყნის გაძლიერების კუთხით და მათ შორის - მთელ მსოფლიოში, ყველგან უნდა დაეიცვათ ჩვენი პოზიციები. არც ერთი დღე არ გვაქვს დასაკარგი, სანამ საქართველოში დგას მტერი, სანამ საქართველოს მიწა ოკუპირებულია და საქართველო არ არის თავისუფალი, - განაცხადა პრეზიდენტმა.

მიხეილ სააკაშვილის თქმით, საქართველოს მთავრობის ისტორიული ამოცანაა, ეს ბრძოლა ბოლომდე მიიყვანოს.

ჩვენ ამ ბრძოლას ბოლომდე მივიყვანთ და გავათავისუფლებთ საქართველოს, - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტმა განცხადება კოლუმბიაში გააკეთა, სადაც ქვეყნის პრეზიდენტის ინაუგურაციას ესწრება.

[„ინტერპრესნიუსი“]

ღამით გაძრავს საშემოდგომოდ ვაშინგტონში გამგზავრებას და აშშ-ის კონგრესში შესვლას და აშშ-ის კონგრესში შესვლას



პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე საშემოდგომოდ ვაშინგტონში გამგზავრებას და აშშ-ის კონგრესში შეხვედრების გამართვას გეგმავს, სადაც საუბრის ერთ-ერთი ძირითადი თემა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის თაობაზე სპეციალური რეზოლუციის მიღების საკითხი იქნება.

„რუსულ ოკუპაციასთან დაკავშირებით კონგრესის მიერ საკუთარი დამოკიდებულებისა და პოზიციის დაფიქსირება, ძალიან მნიშვნელოვანია სამომავლოდ მთელი ამ პროცესისათვის“, - განუცხადა ჟურნალისტებს დავით ბაქრაძემ.

მისივე თქმით, დღევანდელ შეხვედრაზე საუბრის თემას წარმოადგენდა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, საარჩევნო და საკონსტიტუციო მიმართულებით დაგეგმილი ცვლილებები და ეკონომიკურ სფეროში მიმდინარე რეფორმები.

„პირველი“

რუსეთის მოსახლეობა მედვედევსა და პუტინს სულ უფრო ნაკლებად ენდობა

რუსეთის მმართველი ტანდემის ღმერთი მედვედევისა და ვლადიმერ პუტინის რეიტინგი დაბლა ეცემა, რუსეთის მოქალაქეები მათდამი ნდობას სულ უფრო და უფრო ნაკლებად გამოხატავენ. სოციოლოგიური გამოკვლევის ასეთი შედეგები ფონდ „საზოგადოებრივი აზრს“ მოჰყავს.

ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით მედვედევისადმი ნდობა გამოკითხულთა 56 % აქვს, მაშინ როდესაც 18 ოქტომბერს ჩატარებული გამოკითხვით მისი ნდობა რუსეთის მოქალაქეთა 62 % ჰქონდა.

ასევე გაზრდილია იმ ადამიანთა რიცხვი რომლებიც მედვედევს არ ენდობან - 11 % დან ამ მაჩვენებელმა 14 % მიაღწია.

ანალოგიური მდგომარეობაა ვლადიმერ პუტინის შემთხვევაშიც - ამჟამად მას გამოკითხულ რუსეთის მოქალაქეთა 66 % ენდობა, მაშინ როდესაც ადრე ეს ციფრი 72 % უდრიდა. პუტინს გამოკითხულთა 12 % აღარ ენდობა საერთოდ.

რუსეთის ხელისუფლებისადმი ნდობის დაკარგვის შესახებ მეტყვე-



ლებს ასევე „ლევადა-ცენტრის“ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებიც. მათი მონაცემებით ამჟამად ამ ტანდემს 72 % ენდობა - მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი სექტემბერში სამი პროცენტით მეტი იყო.

ვლადიმერ პუტინის ყოფნას ქვეყნის პრემიერის თანამდებობაზე ამჟამად 78 % ამართლებს, სექტემბერში ეს მაჩვენებელი 81 % უდრიდა.

გამოკითხულთა 24 % თავის უთანხმოებას გამოხატავს მედვედევის პედაგოგთან დაკავშირებით, 20 % კი პუტინის ქმედებებთან დაკავშირებით.

„ჯი-ეიჩ-ენი“

თემურ იაკობაშვილი კოსოვოსა და ჩეჩნეთს შორის პარალელს ავლებს

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილი კოსოვოსა და ჩეჩნეთს შორის პარალელს ავლებს.

აღნიშნულ საკითხზე იაკობაშვილმა თქვენი ჰასპინგტონ თიმეს -ისთვის მიცემულ ინტერვიუში რუსეთ-საქართველოს ომისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების კონტექსტში ისაუბრა.

„აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში ჩატარებული ეთნიკური წმენდები ქართველებს შეეხო და არა რუსებს. აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში გაეროს ჯარი არ იდგა. კოსოვოში მათ რეპატრიაციის საშუალება ჰქონდათ. მე ვფიქრობ, ამ საქმის მოგვანა მხოლოდ იმის ილუსტრირებას ახდენს, რომ პარალელის გავლება არაფერთან შეიძლება. თუ არსებობს პარალელი, ეს კოსოვო და ჩეჩნეთია“ - აცხადებს იაკობაშვილი.

ამასთან, მისივე აზრით, „უცლებელია სხვადასხვა კომპონენტი და პოლიტიკა იმისთვის, რომ ოკუპაციის პირობებში მცხოვრებ მოსახლეობასთან საქმე იქონიო“

„მე არ მაქვს ჯადოსნური სფერო, რომ ვაღებზე გელაპარაკოთ. ამას შეიძლება, 5 წელი დასჭირდეს, 15 ან სულაც სამი, - მე არ ვიცი. ეს პოლიტიკაა. იმედი მაქვს, ამას იმდენივე დრო არ დასჭირდება, რამდენიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიის გაერთიანებას, მაგრამ ერთ ღამეში ეს მაინც ვერ მოხდება“ - აღნიშნავს სახელმწიფო მინისტრი.

„პირველი“



სოფში 2008 წლის 8 აპრილის ომში დაღუპულთა მემორიალი გაიხსნა

1 ← ლეხის საოხად და ღმერთს ვევედრებით მათი სახელების უკვდავყოფას.

ორი წელიწადი მონატრებაში გაილია, მაგრამ უფრო წარმოჩენით დაჟინაზე, ვისი ჯიშისა და გენის ახალგაზრდობა ტრიალებდა და ტრიალებს ჩვენს გვერდით და... „საქართველოც, შენ ვინ მოგცა შეილი დასაქარავნი?“ ამ ორი წლის განმავლობაში მათ სახელებს დიდება და სიყვარული არ მოჰკლებია, ხალხის ცრემლის, სახალხო გლოვის ღირსნი ხომ რჩეულები ზღებიან მხოლოდ. გოგა ბერაია, გოგა ჭითანავა, გოგიტა ქარაგა, ლევან ჭოჭუა, ზვიად დათუაშვილი, ლევან ტურავა, დათა ზურცილაძე, მიხეილ იოსავა, 7 აგვისტოს ღამით, სენაკის სამხედრო ბაზის დაბომბვისას დაიღუპნენ, პოლიციელი რამაზ კიტია კი მოგვიანებით, გორში დაღუპული მამის დარდით გათანაგული, სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას განემირა მტრის ტყვიამ...

საქართველოს პრეზიდენტის პრძანებულებით ისინი დაჯილდოვდნენ მედლით „მხედრული მამაცობისათვის“. „...ნახეთ როგორ შეინარჩუნეს მათმა ოჯახებმა ღირსება. როგორ ამაყად შეინახეს თავიანთი დიდი სევდა, ეს ყველაზე დიდი ძეგლია ჩვენი ბიჭების სხონისთვის. ღმერთი იყოს ჩვენი სამშობლოს მფარველი!“ – იტყვის შემდგომ მუსათგვერდის სასაფლაოზე საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.

...დრო ერთ ამოსუნთქვად მიილია. მათ ხსოვნას „ქვეყანა სანთლებად აინთებს“... მათ ეს ათასგზის დაიმსახურეს. სტატისტიკამ გვიჩვენა, რომ რეგიონში ბოლო ორ წელიწადში დაზარალებულ ვაჟთა სახელებში ჭარბობს მძიმე, დათა, გოგა, ლევან, გოგიტა, ზვიად და კვლავ ივლიან წლების შემდეგ მათი მოსახლე რეზერვისტები. იამყებენ სენიებით და ქვეყანას ამცნობენ, რომ მტრის ჯინაზე არ დავიღვეით, ჩვენი ქვეყნის სიყვარული გაგვამძიერებს, გაგვეერთიანებს.

8–ში აგვისტოს ნამდვილი ზეგატი იდგა, დილიდანვე სამების სახელობის ეკლესიაში ომში დაღუპულთათვის სანთლები ინთებოდა... მრევლი მატულობდა... 12 საათზე ხელისუფლების წარმომადგენლები შემოუერთდნენ აქ შეკრებილ ადამიანებს. მეორიადის გაცხსნა ნიშნად დაღუპულთა გმირობის გაგრძელების, ყველაზე პატარებმა „ითავეს“.

კულტურის ცენტრის დირექტორი ლექსო კემულარია ერთხელ კიდევ მიესალმება მათ სახელებს, თქვა, რომ ისინი თანამედროვე გმირები არიან...

თეთრი საბურველი ადვილად დაჰყვა პატარების „ნებას“ და სწრაფად დაეშვა დაბლა...

„რუსული აგრესია ტკივილად მოსდევს 2008-2009-2010 წლებსა და მომავალს, ეს დღე განსაკუთრებით მტკივნეულია ხობისათვის, ცოტნე დადიანის გენალზეგებული ბიჭები მოწამებრივად აღესრულნენ. მინდა მოვიწვიებ წარმოვქცა თითოეული მათგანის სახელი

მიხეილ იოსავა, ლევან ჭოჭუა, გოგა ჭითანავა, გოგა ბერაიას, ზვიად დათუაშვილი, ლევან ტურავა, დათა ზურცილაძე, გოგიტა ქარაგა, რამაზ კიტია. ისინი საქართველოს და მთელი ხობის ტკივილი არიან, ტკივილი და სიამაყე.

დღეს, აქ წმინდა ალაგის-სამების ეკლესიის გვერდით, მაქვს პატრე გავსნა მოწამებრივად აღსრულებულ ზობელთა მეორიადი, რომ მომავალ თაობებს გადევნებს მათი სახელი, სახელი გმირობისთვის დაზადებული და ჭეშმარიტ ქართველთა.

საქართველოს ძლიერების სიმბოლო – არწივი, გადაფარვია სფეროს-ერთიანობის სიმბოლიკას, მიუხედავად ტკივილისა, ძლიერი



ფრთხილად, თითქმის მარადისობას გადასცემს სახელებს, რომლებიც აწ უკვე აქ მშობლიურ ქალაქში ყოველდღე შეახსენებს მნახველს რომ ზობი—ცოტნე დადიანის, მერე მიხეილ იოსავას, გოგა ბერაიას, ლევან ჭოჭუას, გოგა ჭითანავას, ზვიად დათუაშვილის, ლევან ტურავას, დათა ზურცილაძეს, გოგიტა ქარაგას, რამაზ კიტიას სახელებზე აღავლენს ლოცვას,რამეთუ სამშობლოს ახალ სიძლიერედ იქცა მათი სიცოცხლეცა და მოწამებრივად აღსრულებაც—თქვა თავის გამოსვლაში მუნიციპალიტეტის გამგებელმა ივანე ტყეშელაშვილმა. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა მუშაკებმა გვირგვინი მიიტანეს მემორიალთან, ვადრების ზღვა დადგა, აკაფდნენ სანთლები... აქ იყვნენ დაღუპულთა ოჯახის წევრები, ახლობლები... დათა ზურცილაძეს სსოფლის წიგნი, რომელიც ქალბატონ მერი აბრამიას რედაქტორობით გამოიცა, ოჯახისაგან საჩუქრად გადაეცა დამსწრე საზოგადოებას.

სამების ეკლესიის მღვდელმა მამა კირიონმა მათი სულების მოსახსენიებელი პარაკლისი გადაიხადა და განსაკუთრებული სამადლობელი უთხრა დედებს, ქვებისათვის თავდადებულია გაჩენისა და აღზრდისათვის. მრევლის მიერ შესრულებულმა საგალობელმა გვირგვინი დაადგა მემორიალის გახსნის ცერემონიალს.

ზად ჩემი თანასოფელი გოგიტა ქარაგას მამა დამეგზავრა. ჩუმად, თითქმის უსიტყვოდ განვედით გზა შინისაკენ. დაღუპული ბიჭებისათვის კიდევ ერთხელ მინდოდა მეთქვა, რომ (მიუხედავად იმისა, ზოგს პირადად არც ვიცნობდი,) თითოეული მათგანი ჩემთვის უდიდესი ტკივილია, სწორად ვეფერები მათ და ვნატრობ: ღმერთო, არ მოუშალო ჩემს ქვეყანას ასეთი მოსიყვარულე შვილები, სულთ ზორცამდე ქართველები, ამრავლე მათი ჯიშში და გენი. ვიდრე საქართველო იარსებებს თქვენი სახელები დაივიწყებას არ მიეცემა, გჯეროდეთ ქართველები უსაქართველოდ არასოდეს იქნებიან, ამის თავლები თქვენი ღამაში სიცოცხლე და უკვდავება.

მერი ლაგვილაძე

1 ← სტატისტიკის ძირითადი სისხლი

ლოს მარდებიდან დაღვრილი სისხლია.

თქვენ თითოეულ ქართველში ხართ და თითოეული ქართველი თქვენშია.

თქვენი ტოლერანტი ერი, რომლის მიწაზე ხელის გულის ოდენი ადგილზე გვერდიგვერდ უშენებიათ ქრისტიანული სიონი, ებრაული სინაგოგა და მუსულმანური მეჩეთი არ გაიწირება ღვთისაგან, რამეთუ ჰუმანიზმსა და კაცთმოყვარებაშია სამყაროს გადარჩენის ხსნა და საშველი (ამაში ცივილური სამყარო კიდევ ერთხელ დარწმუნდა რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის დღეებშიც და გვერდით დაუდგა კავკასიონის კალთებქვეშ გაშლილ პატარა თავისუფლებისმოყვარე სახელმწიფოს).

თქვენი ჯიშისა და ჯილაგის დამარცხება, არამცთუ გადაშენება, მიუხედავად თავისი მცირერიცხოვნებისა ანტიკური დროიდან დღესამომდე ვერ შეძლო ვერც თურქმა, ვერც ოსმალომ, ვერც მონღოლმა, ვერც ერთმა იმპერიამ და ვერც ერთი იმპერია ვერ შეძლებს მის განადგურებას. დადგება უამი, კვლავ ერთად იხმანებს ქართული ოღოია, ლილეო, აფხაზური ვარადა, ვეფხისა და მოყმის დედებთან წილნაყარი ქართველი, აფხაზი და ოსი დედები ერთმანეთთან მივლენ სამძიმრის სათქმელად. კვლავ აღსდგება ბალახით დაფარული ენგურის ხიდი და საქართველო აუცილებლად გაბრწყინდება. ამ გაბრწყინებაში თქვენს თავგანწირვას, თქვენს მიერ გაღებულ სისხლს ქართველობის მარადისობის ზე, რომ მორწყა XXI საუკუნის საქართველოში შთამომავლობა არ დაგვიწყევტო. მთავარია თქვენეული თავგანწირვით ჩვენც შევიძლოთ მამულისა და ერთმანეთის სიყვარული, შევიკ-

ახლა აგვისტოა, ყველაზე ფერადი, ყველაზე ზავერდოვანი თვე... საქართველოსთვის მაინც განსაკუთრებული...

ყოველ შემთხვევაში ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და დიადი, ვიდრე მხოლოდ შემოდგომა—ზაფხულთან და ზამთართან გაღებული ხიდი.

დიდი ხანი ემზადებოდა თავისი კუთვნილის დასაბრუნებლად და რუკაზე თავისი ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად დაიბრუნებელი და თავისუფალი საქართველო.

საქართველო!

ჩვენი სამშობლო—ჭიბი და ძუძუ, რომელზედაც მთელი სიცოცხლის მანძილზე ვართ მიბმულები.

„სამშობლო დღის ძუძუ“—უთქვამს ქართველ კაცს.

„მშობლიური ჩემი მიწა“—უთქვამს მეორე ქართველს,

„ერი, პუტადი, გულად“—გაუგრძელება მეათე ქართველს,

„სხვა საქართველო სად არის?“—უკითხავს მეათასე ქართველს,

„არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი—არ გამაჩნია“—ბრძანებს მესამეთათხე ქართველი.

სამშობლო—საქართველოს გააზრება, მისი სიყვარულის გაცნობიერება ბევრ მამულიშვილს ათქმევინებს მსგავს და უკეთეს სიტყვებს.

სამშობლო—ჩვენი წარსული, ჩვენი აწმყო და მომავალი, წარსულის გარეშე, ერი ვერ იარსებებს; თითოეულმა ჩვენთაგანმა

ჩვენ, აგვისტო, რუსეთი...

უნდა იცოდეს ჩვენი ქვეყნის გუშინწინდელი დღე, რათა გუშინდელი შეცდომა ზვალ არ გაიმეოროს. ჭეშმარიტების, მშობლიური მიწისა და ზეცის უსაზღვრო სიყვარულმა მეომრულმა გულმაგრობამ შვა ჩვენი სასიქაღლო გმირები.

გმირი—ამ სიტყვაში დიდი შინაარსია ჩატეული, ისინი ყველა ეპოქაში გვყავდა, გვყავს დღეს, გვეყოლება მომავალშიც. მათ უამრავი მისია ჰქონდათ და აქვთ შესასრულებელი. იყვნენ სარწმუნოებისათვის მებრძოლები, სულიერებისათვის მებრძოლები, მამულისათვის მებრძოლები, ღირსებისათვის მებრძოლები. ყველა მათგანს აერთიანებდა მამულიშვილობა, სამშობლოს სიყვარული და სამართლიანობა.

ჩვენთვის ქართველებისათვის ყველაზე ცბიერი და ვერაგი მტერი, ჩრდილოელი მეზობელია, რადგან, როცა ყველაფერს ნათლად გავაანალიზებთ, დავინახავთ, რომ რუსეთის ისტორიულ—ეროვნული მისია სხვაა და საქართველოსი—სრულიად სხვა. რუსეთი ყოველთვის ისწრაფვოდა გამხდარიყო მსოფლიოს იდეოლოგიური, კულტურული, პოლიტიკური და სამხედრო მეთაური, საქართველოს მიზანი კი ეროვნულ გადარჩენა არსებობის შენარჩუნება და ტერიტორიის გამოვლიანებაა. საქართველოს არ შეუძლია არსებობა დაკარგული ტერიტორიების გარეშე, რადგან საქართველომ თუ ვერ აღადგინა კონტროლი აფხაზეთზე და შიდა ქართლზე, მისი დეზინტეგრაცია გაგრძელდება ამ პროცესის საბოლოო შედეგი საქართველოს მოსახლეობისათვის უმძიმესი იქნება. სწორედ ამიტომ ჩვენი ქვეყანა ვალდებულია აღადგინოს კონტროლი მთელს თავის ტერიტორიაზე. ამის გარეშე საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა გრძელვადიან პერსპექტივაში შეუძლებელია.

ეს კარგად იცის რუსეთმა, რომელიც ყოველნაირად ცდილობს გაწელოს პროცესები გაახანგრძლივოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე თავისი ჯარის ყოფნა.

„განახლებისათვის, აღორძინებისათვის, აუცილებელია სულის რევილუცია“—ბრძანებდა ბატონი აკაკი ბაქრაძე. ჩვენ ქართველებმა, ბოლოსდაბოლოს სიმართლეს თვალეში უნდა შევხედოთ და ყოველგვარი ყოყმანის გარეშე უნდა ვადიაროთ, რომ რუსეთი არის აგრესორი ქვეყანა. სულის რევილუცია იმდომად აღვნიშნე,

რათ ერთ

სულ და

ერთ ხორც,

რომ ვუერ-

თ გულთ

საქართვე-

ლოს ერ-

თიანობისა

და თავი-

სუფლების

ი დ ე ა ს .

სხვა რა

დაგპირდეთ ამ პირობას შეწირულ ბიჭებს.

კოლხური პატარა ქალაქის, ხობის და ზობელთა ნებიერა,

ამაყო და გმირი ბიჭებო, გაჩნდით თითო-თითო სხვადასხვა

დროს, სხვადასხვა ოჯახში, სხვადასხვა გვარში, სხვა-

დასხვა დედისაგან, მაგრამ მარიამობის თვეში ცხრა ძმა

ზერხეულიძედ დაიბადენით.

ჩვენი გმირების სხოვნა გვაკალდებულებს ერთობას, ერ-

თმანეთის სიყვარულს, ერთმანეთის გატანას, რაც თქვენ არ

შეგშლიათ და არც თქვენს ზობელებს შეგვეშლება.



მამუკა ჭოხონელიძე, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

8 აგვისტო 2009 წელი.

რომ უნდა დავთმოთ კვაჭისეული შეხედულებები, რომელიც ამბობდა „გადახედეთ დიდ რუსეთს, მსოფლიოს მეექვსედა, 200 მილიონამდე ხალხი ჰყავს! თუ შნო, უნარი და ხალხის გაქვთ, ფრთები გაშალეთ და ამ უღვევლ სივრცეში ინავარდეთო“. ასეთი კატეგორიებით აზროვნება იქწვევს ეროვნული ცნობიერების რღვევას.

„სულის რევილუციის“ მკაფიო მაგალითი უჩვენებს მსოფლიოს ებრაელებმა. მათ მსოფლიოს ანახეს, რომ გაუტეხელია ერის სული, თუ ხალხმა იცის რისთვის არსებობს.

გამოვლდი ტანჯვა-წამების, ხეტილის შემდეგ, როგორი სახელმწიფო შექმნეს მათ, ყველამ კარგად ვუწყით.

სსრკ, რომელიც წარმოადგენდა ერების ნაძალადევ გაერთიანებას, ერთი მისია ჰქონდა—ამ ერების გარუსება (ანუ მარადიულად რუსეთთან ერთად). ამ გაერთიანების დაშლის შემდეგ რუსეთმა სხვა როლი მოირგო—ეს იყო ქვეყნების შიგნით არეულობის, ძმათაშორის ომების და სხვა ვანდალური ქმედებების განხორციელება.

თვითონ კი, გარეგნულად მშვიდობისმყოფელის, „ცისფერ-ჩაფხუტიანი“ როლი მოირგეს. მაგრამ, როცა მისი ყველა სვლა, ყველა მისი დიპლომატია გაანალიზებულიქნა. მსოფლიომ დაინახა მათი ნამდვილი სახე.

აგვისტოს ომი ივლისში დაიწყო, მაშინ, როცა 9 ივლისს,

ოთხმა რუსულმა საბრძოლო თვითმფრინავმა 40 წუთი იფრინა ცხინვალის თავზე და პირველად, თექვსმეტი წლის განმავლობაში, მოსკოვმა აღიარა, რომ ეს მისი თვითმფრინავები იყო. სხვა დროს კრემლი ამას ყოველთვის უარყოფდა. 9 ივლისს მოსკოვმა რუსეთი გააფრთხილა, რომ ვითარების დაძაბვისთანავე ისინი ჩვენს საჰაერო სივრცეში შემოიჭრებოდნენ. შემდეგ რაც მოხდა ყველამ კარგად ვიცით.

აგვისტოს ომმა ჩვენ გმირები მოგვცა, ყოველგვარი გაზვიადების გარეშე, ჩვენი თანამედროვე, ჩვენს გვერდით მყოფი ადამიანები, წამმა აქცია თავგანწირულ მამულიშვილებად. ომი, რომ სამშელებაა ამაზე არავინ არ დაობს, მაგრამ ომის შემდგომი პერიოდ ბევრისათვის ჯოჯოხეთად იქცა. ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტრამები მათ ცხოვრებაში გადაულახავ ბარიერად აღიმართა და უმრავლესობას ცხოვრების სურვილი დაუკარგა. თუმცა ცხოვრება, გვინდა თუ არ გვინდა, გრძელდება და ყველა ჩვენგანმა უნდა შეძლოს საკუთარ თავში, იმ ძალისა და ენერგიის მოძებნა, რაც ომის საშინელებებს დაგვაიწყებს და მომავლისკენ გავაზნეებს.

აგვისტოს ხუთდღიანი ომიდან 2 წელი გავიდა, წლები შიმშის, განცდების, სწავლის.

სწავლით კი ბევრი რამე უნდა ვისწავლოთ, პირველ რიგში კი უმნიშვნელოვანესია ყველაზე მთავარის გაგება—თუ გვინდა გამარჯვება (და იგი უცილობლად უნდა გვინდოდეს) უნდა შევიინარჩუნოთ ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობა. უნდა გავითავისოთ, რომ ქვეყანაში კრიზისი რუსული საოკუპაციო ჯარების ფონზე, საქართველოსთვის მომაკვდინებელი იქნება.

ახლა აგვისტოა...

მთელი თავისი სიდიადით...

გმირობის ჟამის დადგომით...

ჟამი—განუყოფელი მწუხარების.

ჟამით—სიამაყის გრძნობით,

ჟამი მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაულის, იმ იმედით, რომ მარიამ ღვთისმშობელი არასოდეს დატოვებს თავის წილხვედრ ქვეყანას, გადააფარებს მას მაღლიან კალთას და გვეტყვის: გიყვარდეთ ერთმანეთი, უფალი თქვეთანაა.

მანანა შულაია

ხალხი და სელისფლება

მეცნიერები სობში

სობი ამერიკელ გეოფიზიკოსთა და მეცნიერ-არქეოლოგთა ინტერესის სფეროშია. იენისის თევში სამუშაო ვიზიტით ჩამოვიდა არქეოლოგთა ჯგუფი მიჩიგანის (აშშ) უნივერსიტეტიდან, რომლებიც მოიწვია ეროვნული მუზეუმის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა, არქეოლოგმა გურამ კვირკველიამ. მათ დათვალიერეს სობის მონასტერში ახლად აღმოჩენილი ძველ დადიანთა აკლდამა. ძველი კოლხური ნამოსახლარები-ჭიხუხა და თორისის „ღიხაგუმბები.“ მათ მეგზურობა გაუწიეს არქეოლოგმა რევაზ პაპუაშვილმა და გამგეობის კულტურის სამსახურის წარმომადგენელმა, ისტორიკოსმა გოგიტა ჩიტაიამ. უცხოელი მეცნიერები აპირებენ სობში არსებულ არქეოლოგიურ ძეგლებზე დაზვერვითი სა-

მუშაოების ჩატარებას-თანამედროვე გეოფიზიკური ხელსაწყოებით.

სობში ჩამოვიდა ასევე ქართველ მეცნიერთა ჯგუფი, შემდეგი შემადგენლობით: ეროვნული მუზეუმის დირექტორის მოადგილე ბესიკ მაისურაძე, მეცნიერ თანამშრომლები-ლეილა ფანცხავა და მალხაზ ცინდელიანი. სტუმრებმა დაათვალიერეს სობის სა-მონასტრო კომპლექსი, ახლად აღმოჩენილი ძველ დადიანთა საძვალე, მონასტრის ეზოში არსებული ძველ-კოლხური ნამოსახლარები, ტაძარში მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოები. სტუმრებს ესაუბრნენ დეკანოზი ილია ლომია, არქეოლოგი რევაზ პაპუაშვილი და მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი ძეგლთა დაცვის საკითხებში გოგიტა ჩიტაია.

მეცნიერებმა აღნიშნეს, რომ ისტორიული წყაროები და ბოლოდროინდელი არქეოლოგიური გათხრების შედეგები უეჭველს ხდის, რომ სობის მონასტერი ნამდვილად ძველ დადიანთა საგვარეულო სამარხს წარმოადგენს. ბუნებრივია, ცოტნე დადიანს, როგორც წმინდანსა და როგორც ეროვნულ გმირს განსაკუთრებული პატივი სწორედ სობის მონასტერში უნდა მიეცოს.



მართი დღე უმჯობესად სასაღილოში

მათი ცხოვრება ასე სხვადასხვა ისტორია, ასე სხვადასხვა გზა და მანძი ას ბენეფიციარს დღეს ერთნაირი ისტორია აქვს, ისინი დღეს უმწიკრნი არიან, უმწიკრთა შემწეობა კი უდიდესი მოწყალებაა, რომელიც ყველა ჩვენთაგანმა ვალდებულიყავით უნდა დაუწესოს საკუთარ თავს, შეიძინოს გამოცდილება და „ნაკლულევან მოყვასი შემოწმებუ“-საქმე ყველაზედ სათნო გაითავისოს.

სამუშაო, რომ მოყვასს ჩვენსას უჭირს-მაგრამ სასიხარულოა, რომ მათთვის —უპირველესი სულიერი საკვები-ყურადღება და სარსებო, სარჩენი-დაპურება ერთმანეთს ერწყმის.

უფასო სასაღილო, რომელიც სობის მუნიციპალიტეტში უმწიკრებს ემსახურება ბენეფიციართა ერგარი შეკრების ადგილია.

აქ ხშირად გაიგებთ მზარეული-სათვის ნათქვამ მადლობას, იცით, მე განა მარტო საჭმლისთვის, ამ ურთიერთობისთვისაც დაგვიდარ, - აგერ დღეს ციური და ცინარა გვესტუმრა, გხედავთ, როგორ აკონტროლებენ ყველაფერს, ჩვენ, რა თქმა უნდა, ვენდობით მომსახურე პერსონალს, მაგრამ, მათი ხშირი სტუმრობა ნიშნავს, რომ ჩვენი პირობები განსაკუთრებულ კონტროლქვეშაა.- გვესაუბრება პენსიონერი პედაგოგი, ქალბატონი ნათელა.

ამას წინათ ავადმყოფობდი, უყურადღებოდ ერთი დღე არ დავრჩენილვარ-სოციალური აგენტი ნანა დგებუაძე სახლში ატარებდა ჩემს ყოველდღიურ ულუფას და სიყვარულით მომიკითხავდა, ჩაერთო მეორე ბენეფიციარი.

შოლინა კანკია-გამგეობის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ღვინლთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახურის უფროსი:

„ბენეფიციარები, უმთავრესად სობის მუნიციპალიტეტის ცენტრისა და მიმ-

დებარე სოფლების მკვიდრნი არიან. ეს უმწიკრთა ის კატეგორიაა, მრავალშვილიანები, არასრულწლოვნები, მარტოხელები, რომელთაც ნამდვილად სჭირდებათ თბილი კერა და ვფიქრობ, ჩვენი სამსახური, მუნიციპალიტეტის გამგეობის მხარდაჭერით ახერხებს ამას.

ცინარა ჯობაძე, მთავარი სპეციალისტი სოციალურ საკითხებში- აქ რომ მოვდივარ, ვაღიარებ, ძალიან მიმიძმს ადამიანურად, ენატრობ ისეთ საქართველოს, სადაც ადამიანს ამგვარად არ დასჭირდება და გაუჭირდება, მაგრამ როცა მათ ვხვდები, ყველა ზღვარი იშლება, მე ზოგის დედა, შეილი თუ შვილიშვილი ვხვდები და აქედან წასვლით უფლის მადლობელი ვარ, რომ მომცა უფლება მათ



დახმარებაში ჩემი წვლილი შევიტანო. ეს ჩემი სამსახურია, მაგრამ უკვე შემძლია გითხრათ ჩემი მოწოდებაც გახდა ციური ხელაძე, გამგეობის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის წარმომადგენელი: აქ შემოსული ადამიანი სიკეთის არსზე უფრო მეტს ფიქრობ, ისეთ სიკეთეზე სადაც მადლიერებით სავსე თვალის ნახვა ყველაზე დიდი საზღაური-

აქ ყოველ დღეს იღება კარი, აქ ყოველდღე იგებენ ამბებს ერთმანეთზე, აქ ერთად სწუხან და უხარიათ. ეს უმწიკრთა სასაღილოს ერთი დღეა- ისინი ზვალს იხე დათქმულ ადგილს, თავიანთ მაგიდებთან მჯდარი მოუყვებიან ერთმანეთს ამბებს ძველსა და ახალს, სახლისას და ქვეყნისას.

საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი სობში.

ავგისტოს დასაწყისში სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეს საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი (დირიჟორი ნიკა მეძინიშვილი) საიუბილეო ტურნის ფარგლებში ეწვია.

10 ავგისტოს სობის კულტურის სასახლეში სამი თარიღი-ორკესტრისა და კომპოზიტორ გია ყანწელის იუბილე, რუსეთ-საქართველოს ომის 2 წლისთავი შენივთდა. დირიჟორი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და იმ ტკივილისთვის მოუხადა ქელი სობს, რაც ავგისტოს ომმა მოუტანა ამ პატარა რაიონს.

სობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა აღნიშნა, რომ ავგისტო, 2008 წლიდან ყველაზე ტკივილიან და მაინც ყველაზე ამაყ თვედ ექცა სრულიად საქართველოს. საქართველოს, რომელიც ფენიქსივით კვლავ აღდგა და ეს, სწორედ ჩვენი დიდი გენის, უძლიერესი ფესვის დამსახურებაა-მთიდან მთის სიძლიერეს, ზღვიდან ზღვის მარადიულ სწრაფვას ნაპირისაკენ, ციდან- „დღეს ღამე უთენებიას, რომ გვასწავლის და ყოველივე ამას ქართული სიმღერა ჰქვია.“

მინდა ამ დღეს, როდესაც სობის კულტურის სასახლის სცენაზე რამდენიმე წუთში აჟღერდება საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის შესრულებით განუმეორებელი მუსიკა, პატივი მივაგოთ რუსულ აგრესიას შეწირულ 9 ხობელ ჭაბუკს, რომელთა სახელებიც, არა მხოლოდ სობის, უკვე ისტორიის კუთვნილებაა. ეს კონცერტიც ხომ სწორედ ღირსეული მაგალითია იმისა, რომ ქართველებს ცრემლით სავსე თვალითაც შეგვიძლია სიმღერაც, შენებაც და თავისუფლებისაკენ სწრაფვაც.

დუმილით მიეგო პატივი 9 ხობელი გმირის ხსოვნას. ორკესტრმა კლასიკურ ნაწარმოებთან ერთად ქართული კინო მუსიკის ნაწევრები შეასრულა. მაყურებლის წინაშე წარსდგნენ: ელენე ფონხუა, ვაჟა მანია და ნანა ჩიკავა. ორკესტრმა ტურნე სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში ამ კონცერტით დახურა.



მუნიციპალიტეტის პრიორიტეტი-სოფელი წყლის პრობლემის გარეშე

ქართული სოფლის იდილია- საოცრად ნაცნობი თემაა ქალაქელთათვის, მაგრამ სოფელი უფრო ღრმა და რთულია თავისი ყოველდღიურობით, შრომით, პრობლემებით, რომელსაც გლეხკაცი სტუმარს არ უმხელს, მაგრამ საგვინოში უკვე მერამდენე წელია, სტუმარ-მასპინძლის დილა-სალამო „სავალდებულო მსახურებით“- წყლის მოზიდვით იწყებოდა... და დგებოდნენ რიგში დოქებით, კოკებით, ბიდონებით, სათლებით „შეიარაღებულნი“ მერე დაღლილი მიუყვებოდნენ გზას კითხვებაკვიატებულნი-„როდემდის? როდის?

დროს ყველაფერი მიაქვს, მათ შორის ცუდიც, ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებებმა ქართულ სოფლებში ჯერ სიტყვა შეიტანა, შემდეგ კი საქმეც დაიწყო.

29 იენისი. სოფელი საგვინო. „დევლოპმენტ-ბულ-დინგ კომპანი“-ჯეროვან სიტყვას ამბობს, სამუშაოთა მიმდინარეობას ადგილზე ეცნობიან მუნიციპალიტეტის გამგებელი ბატონი იგორ ტყეშუაძე, მაჟორიტარი დე-

პუტატის ბიუროს უფროსი რევაზ წულაია. მოსახლეობას უხარია, რომ უახლოეს მომავალში-დილა საღამოს „სავალდებულო მსახურება“- წყლის ზიდვა და რიგებში დგომა არ მოუწევთ, ამ დღიდან მუნიციპალიტეტი უკვე არ ივლიან 1 კილომეტრით დაშორებულ ჭაბურღილთან, მათთან პირველად ონკანის წყალი მუნიციპალიტეტის გამგებელმა მოუშვა „წყლის ძალა მოგციოთ“- ძველ კოლხურად უსურვა ოჯახს და წყალი დააგემოვნა, სამუშაოთა მწარმოებელი კომპანია დარჩენილი მცირე მასშტაბის სამუშაოების შესრულების შემდეგ – სოფლის მთავარ პრობლემას სოფლის წყლით მომარაგებას წარმატებულად გადაჭრის და გვინიებს, ბიწაძეებს გელაშვილებს, გოგოლაშვილებს, მაჭარაშვილებს, მეგრელიშვილებს, მოსიაშვილებს, სულაშვილებს, ტაბატაძეებს, ქიტიაშვილებს, ხარაიშვილებს, კაჭარაშვილებს. წყალიცა და წყლის ძალაც სახლში ექნებათ და ღიმილით ეტყვიან დაღლილ სათლებსა და ბიდონებს-„ახლა თქვენი დასვენების დროა.. გამაღობთ“

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“- ერთ-ერთი პრიორიტეტული სახელმწიფო მიმართულება

ისე, როგორც მთელს საქართველოში, სობში თამამად შეიძლება ითქვას წარმატებულ და მოსახლეობისაგან მოწონებულ პროექტად ითვლება. არსი მისი წარმატებისა კი თვით პროექტის ნაშანდობლიობაში-პრობლემის დაფიქსირება სამუშაოთა შესრულება და ადგილობრივთა დასაქმებაა,რომელსაც უშუალო კონტროლს მუნიციპალიტეტის გამგებლობა უწევს. ეს პროექტის მიმტკიცება...

იქნებ ვიღაცას გაუკვირდეს, რომ დღეს როდესაც ურთიერთობის ერთგვარ ფორმად მავანთ კრიტიკა მიაჩნიათ, ხალხი სამადლობელი წერილის საწერად იცდის... მადლობა ხომ თავისთავად მადლიანი სიტყვაა მადლიანი საქმისათვის.

სწორედ ერთ-ერთი ასეთი წერილი სოფელ ხეთის ოხვამეკარის უბანში მიმდინარე გზის მოხრეშვის და სანიაღვრე არხების ამოწმენდის სამუშაოების გამო მიიღო მუნიციპალიტეტის გამგებლობა:

ბატონო იგორ, სოფელ ხეთის ოხვამეკარის უბანში მიმდინარე წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული იყო ხეთის ეკლესიაში და სასაფლაოში მისასვლელი გზის მოხრეშვის და სანიაღვრე

არხების ამოწმენდის სამუშაოები. სამუშაოებს ასრულებდა ინდ. მეწარმე „თენგიზ ლატარია“.

სამუშაოები შესრულდა დროულად და ხარისხიანად. სოფელ ხეთის ოხვამეკარის მაცხოვრებლები მადლობას გიხდით თქვენ აღნიშნულ სამუშაოების გათვალისწინებისათვის და გთხოვთ მადლობა გამოუცხადოთ ინდ. მეწარმე თენგიზ ლატარიას სამუშაოების ხარისხიანად შესრულებისათვის და აღნიშნულ სამუშაოებზე უბნის მცხოვრებთა დასაქმებისათვის.

პატივისცემით ოხვამეკარის უბნის მაცხოვრებლები „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ მეორე ეტაპი გრძელდება. იმედია შემსრულებლები და ხელისუფლება ერთობლივად შესძლებენ სახელმწიფო პროგრამის რეალიზებას იმ ფორმით, სადაც სოფლის პრობლემა, მოსახლეობის ნება, სამუშაოთა შემსრულებლის კეთილსინდისიერება, მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოჩენილი ყურადღება —ერთობლიობაში მოგვცემს მოსახლეობის დადებით განწყობას,სადაც გულით ნათქვამი, გამაღობთ-ყველაზე უფასუელია. რაც ამ შემთხვევაში შეიძლება მივიღოთ...

ნიჭიერების ზეიმი სობში

26 ივლისს სობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინიციატივითა და მხარდაჭერით სობის კულტურის სახლში ჩატარდა 13 წლის ნიჭიერი მომღერლის ნინო გოთოშაის სოლო- კონცერტი. რეპერტუარში შედიოდა ქართული, ფრანგული, ინგლისური, რუსული, თურქული საესტრადო და მეგრული ფოკლორული სიმღერები. განუმეორებელი ხმითა და მაღალი სა-შემსრულებლო დონით კიდევ ერთხელ მოიხიბლა მაყურებელი. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ძუკუ ლოლუას სახელობის ქართული ხალხური სიმღერის მუზეუმთან არსებულმა მუსიკალური სტუდიის მოსწავლეებმა. სობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დირექტორის ლექსო კე-მულარიას, ძუკუ ლოლუას სახელობის ქართული ხალხური სიმღერის მუზეუმის დირექტორის ნანა ჯალაღონიას, პედაგოგ ავთანდილ გოგოტიშვილის ორგანიზებით ჩატარებულმა კონცერტმა მაღალ ღონეზე ჩაიარა. კონცერტის ბოლოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონმა იგორ ტყეშუაძემ საპატიო სიგელითა და სპეციალური პრიზით დააჯილდოვა პატარა სოლისტი, ხოლო საზოგადოებას მიულოცა კიდევ ერთი ნიჭიერების დღესასწაული სობში. აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის გამგეობა ეროვნულ- კულტურული ტრადიციებისა და პოპულარიზაციის მხარდაჭერის ფარგლებში დააფინანსებს ნინო გოთოშაის მონაწილეობას მარმარისის საერთაშორისო ფესტივალზე. მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრმა სიგელებით დააჯილდოვა მონაწილეები, რომლებმაც ესოდენი ხიბლი შესძინეს კონცერტს.



მასალაში მოგვამოდა სობის მუნიციპალიტეტის გაგეობის ინფორმაციის უზრუნველყოფის და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა

გამოვლინდა ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაციები

30 ივლისს სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით ლოტი №1 სობის ღელათა მონასტრის მისასვლელი გზის დაბალი განათების მოწყობის სამუშაოები და ლოტი №3 ქ.სობის ახალი სასაფლაოს კეთილმოწყობის პირველი ეტაპის სამუშაოების გამარჯვებულად გამოცხადდა ი/მ „ნინო ქარჩავა“, ხოლო ლოტი №4 სობის სასამართლოს შენობის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის მეორე ეტაპის სამუშაოების გამარჯვებულად გამოცხადდა შ.პ.ს „შარაგ ზამშენი პირველი“.

ინტერვიუ

—რამდენი ხანია ამ თანამდებობაზე იმყოფებით და რა პრობლემები დაგხვდათ?

—ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი ვარ 2009 წლიდან. მუნიციპალიტეტის პრობლემები არც მანამდე ყოფილა ჩემთვის შორეული, ხობის სინამდვილეს რეალურად ვუყურებდი. სწორედ ამიტომ ჩემთვის მნიშვნელოვანია სამი პრიორიტეტული მიმართულება: **სოციალური საკითხები**—სოციალური პრობლემების მოგვარებით, **დასაქმება**—უმუშევრობის დაძლევა, ახალი **ინვესტიციები**. ერთ-ერთი მათგანის უყურადღებოდ მიტოვება ნიშნავს პრობლემათა ჯაჭვს. პირველი დღიდან ვცდილობ ვიყო ყურადღებიანი და ამას მოვითხოვ გარშემო მყოფთაგან.

—როდის გაქვთ მოქალაქეების მიღების დღე და რა ხასიათის პრობლემები აქვს მოსახლეობას?

—მიღების დღე არის ორშაბათი, მაგრამ პრობლემების უფრო ახლოს გაცნობის და შესწავლის მიზნით მოსახლეობას შევთავაზეთ შეხვედრები დიალოგის ფორმატით. მნიშვნელოვანი შეხვედრები გვქონდა რაიონის ღვაწლმოსილ ადამიანებთან, მათი მხრიდან გამომავალი მნიშვნელოვანი წინადადებები და რჩევები. ყოველი პრობლემა იდენტიურია იმ პრიორიტეტულ მიმართულებებთან, რომლებზედაც ზემოთ ვსაუბრობდი, თუმცა ყოველი მოქალაქის თხოვნა ინდივიდუალურია და ჩემგან განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვს.

—რამდენად ახერხებთ არსებული პრობლემების გადაჭრას?

შესასრულებლად ჩატარდა. ნარაზენი—საჯიჯაოს ხიდი, რომლის სიგრძე 232 მეტრია, უკვე ადგილობრივთა ახდენილი ოცნებაა. რეაბილიტირებული სკოლები, ახალი საბავშვო ბაღები, მუნიციპალიტეტში წინსვლისკენ მავალ ნაბიჯებს აღწესხავს.

—როგორია ხობის ეკონომიკური ბაზა?

—ჩვენ აგრარულ რაიონში ვცხოვრობთ. მოსახლეობის ძირითადი შემოსავალია მარცვლეული კულტურები, მეცხოველეობის პროდუქტები, დაფნა, ციტრუსი, თხილი, მეფუტკრეობა, ტორფი.

მუნიციპალიტეტი მდიდარია ბუნებრივი თერმული წყლებით, ასევე ჰიპოთერმული წყლებითაც, რომელიც უნიკალურია არამარტო სა-

მუნიციპალიტეტის განვითარების ფონიდან დაფინანსებული პროექტის ათვისება ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ უკვე დაიწყო, მუნიციპალიტეტის შიდაფონიდან გზების მოვლა-პატრონობისათვის გამოყოფილი თანხებით სრულდება: აღმაშენებლის, დადიანის, კოსტავას, ბერაის, სტალინის ქუჩებზე გზის ორმული შეკეთების სამუშაოები. მიმდინარეობს სოფელ ქვემო ქვალონის, ჭყონდიდელის, თაყაიშვილის ქუჩების კაპიტალური შეკეთება, მუნიციპალიტეტის გზებზე არსებული სიტუაცია უახლოეს მომავალში რადიკალურად შეიცვლება, რადგან დაგეგმილია მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება.

— როგორ იმუშავას ოფლის მხარდაჭერის პროგრამამ 2009 წელს და რამდენად ემაყოფილია მოსახლეობა ამ პროგრამის განხორციელებით?

—ვთვლი, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგ-

ნორიაზე მოდის 500-კა. ეს თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ ხობის ეკონომიკური აღმასვლისათვის ყულევის ტერმინალის შემდგომ ახალი ეკონომიკური პერსპექტივა რეალურად გამოიკვეთა. უკვე ისახება საუკუნის პროექტი

„ზუღონჰისი“, რომელიც სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონში უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს, მათ შორის ხობში უამრავ პრობლემას გადაჭრის.

—ტურიზმი ქვეყნისთვის პრიორიტეტულია, თქვენთან რა მდგომარეობაა ამ კუთხით?

—ხობი საუკეთესო ადგილია ტურიზმის განვითარებისათვის, მდიდარია ისტორიული ძეგლებით, ხოლო მისი წარსული, რომელიც დღითიდღე იხსნება უახლოესი არქეოლოგიური აღმოჩენებით, არამხოლოდ ქართველი მეცნიერების, არამედ უცხოელ არქეოლოგთა ინტერესის სფეროში შედის. მჯერა, ხობი კიდევ ერთ სერიოზულ ფურცელს გაუხსნის საქართველოს და



ხობის მონასტერი

რესურსს ქმნის იმისათვის, რომ ხობი ტურისტებისათვის მიმზიდველ ადგილად იქცეს. ამაში თავის სიტყვას იტყვის 20-მდე მიწისზედა და 300-მდე მიწისქვეშა ძეგლი. ხეობაში იგეგმება მეგობრობის საერთაშორისო ქალაქის მშენებლობა, რომლის ზღვასთან სიახლოვე, სარეაქციო ზონა, ბუნებრივი და ხელოვნური ტბები, სამკურნალო წყლები, არაჩვეულებრივი კლიმატური პირობები, მრავალწლოვანი სუბტროპიკული კულტურები მთელი წლის განმავლობაში მისი ფუნქციონალური ლატვირთვის საშუალებას იძლევა.

—თქვენი სამომავლო გეგმები?

—ჩემი სამომავლო გეგმა, როგორც

ხობის მუნიციპალიტეტის გაიმგებელი იმორ ტყეაუჩავა:

„ხობში ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოა“



საქიჯაო-ნარაზენის შემაერთებელი ხიდი

—როდესაც ერთი პრობლემა გვარდება ვგრძნობ, რომ ის დღე საუკეთესოა, მაგრამ მომდევნო პრობლემა ახალი თემაა და ახალი საქმე. სოციალური დახმარების, სკოლებისა და ბაღების გარემონტება, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დეფიციტი, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და ა.შ. არის საკითხები, რომელსაც ბიუჯეტის შესაძლებლობის ფარგლებში ვაგვარებთ.

—რისკიანი ბრძანდებით?

—ვარ, მაგრამ გათვლილი, ურისკოდ საქმე არ გამოვა, როცა საჭიროა აუცილებლად უნდა გარისკო.

—თუ ხორციელდება რაიმე პროექტები რაიონში და რა პროექტებია ეს?

—რა თქმა უნდა. მუნიციპალიტეტის დღევანდლობას სწორედ განხორციელებული პროექტები ქმნის. ეს არის მუნიციპალიტეტის გზების მოსაწესრიგებლად ჩატარებული სამუშაოები. ასევე ძირითადი პროექტები, რომლებიც მდინარეების ჭანისწყლის, ხობისწყლის ნაპირსამაგრი სამუშაოების

ქართველოს, არამედ ყოფილი საბჭოთა კავშირის ბალნეოლოგიურ წყლებს შორის. ხობის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური ბაზის ძირითადი წყაროა ყულევის ნავთობპროდუქტების გადამხიდი ტერმინალი, რომლის შემოსავლებიც ადგილობრივი ბიუჯეტის 67-70 %-ს შეადგენს.

—რა მდგომარეობაშია გზები?

—გზების კეთილმოწყობა ერთ-ერთი პრიორიტეტულია მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარებაში. განხორციელებულია დიდი პროექტები: ასფალტის საფარიანი გზის მაგისტრალი, ხობი-ფოთის მონაკვეთი, რომელიც მოიცავს 4 სოფელს, ასევე ხობი-საჯიჯაოს გზის მონაკვეთი, სოფელ თორისის ცენტრამდე მისასვლელი გზა, ასევე გაიღო ხიდები. უკვე აღვნიშნე ერთ-ერთი სერიოზული პროექტი ნარაზენი-საჯიჯაოს ხიდის სახით, სადაც გარდა ზემოთხსენებული ხიდისა, ასევე შეკეთდა მისასვლელი გზები და გაიღო ხიდ-ბოგირები.

რამა ბოლო წლების ერთ-ერთი წარმატებული პროექტია. განვითარების გეგმა უშუალოდ მოსახლეობის თხოვნის გათვალისწინებით შედგა. მოსახლეობამ წინა წელს შესრულებული სამუშაოები დადებითად შეაფასა, ხოლო 2010 წლის პროგრამაში უფრო აქტიურად ჩაერთო, სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 2,5 ჯერ გაიზარდა. პირველი ეტაპი უკვე შესრულებულია.

—რამდენად გრძნობთ მხარდაჭერას მთავრობისა და მხარის რწმუნებულისაგან?

—სწორედ მთავრობისა და მხარის რწმუნებულის ზაზა გორიზიას მხარდაჭერით ხორციელდება ხობის მუნიციპალიტეტში ყველა მიმდინარე პროექტი.

—ხომ არ იგეგმება ინვესტიციების მოზიდვა?

—ხობის მუნიციპალიტეტში ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოა! ყველასთვის ცნობილია ხობის ტერიტორიაზე განხორციელებული ინვესტიციები. მინდა გითხრათ, რომ ინვესტორთა ინტერესი მომავალშიც გაგრძელდება. წინ ახალი ანაკლია-პროექტი ისახება, რომელიც ხობისწყლისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ანაკლიის სატვირთო სატრანსპორტო კვანძის შექმნას გულისხმობს, სადაც ახალი საზღვაო ნავსადგურის თხევადი ბუნებრივი აირის ქარხნის, სატვირთო აეროპორტის, სარკინიგზო და საავტომობილო გადაზიდვების ინფრასტრუქტურის ენერგეტიკული უზრუნველყოფის, საინჟინრო მომსახურების ობიექტების და ახალი დასახლებების მშენებლობებია გათვალისწინებული... მშენებლობისათვის საჭირო 3000-კა მიწის ფართობიდან ხობის მუნიციპალიტეტის ტერი-



დ. ლოლუას სახელობის „ხალხური სიმღერების მუზეუმი“

მის სტუმრებს. მსოფლიოში ერთ-ერთი უნიკალური მუზეუმი — „ხალხური სიმღერის მუზეუმი“, ასევე უამრავ დამთვალიერებელს იზიდავს. ხობის საერთაშორისო ფესტივალის მსოფლიოს აცნობს ხობს. თანამედროვე ყოფა შესანიშნავი ფოლკლორით, ულამაზესი ბუნება მთითა და ბარით ყველა

ხობზე უსაზღვროდ შეყვარებული მუნიციპალიტეტის გამგებლისა, არის იმ ხობის შექმნაში დიდი წვლილის შეტანა, რომელიც ხობელთათვის საამაყო, ხოლო სტუმართათვის სანიმუშო იქნება.

სათუნა პარდოსანიძე



მუღევის ნავთობგადამამი ტერმინალი

ჩვენი სახელობანი წინაპრები

1960 წელს რეჟისორი ლანა ლოლბერიძე ამთავრებდა მუშაობას კინონოველაზე და ჯერი პირველი ნოველის „თავადის ქალი მაიას“ გახმოვანებაზე მიდგა, ტრაგიკული დასასრულისთვის კომპოზიტორ რევაზ ლალიძეს დიდგვაროვანი ლამაზმანის სიცოცხლესთან განშორების სცენისთვის თანამდევ მუსიკალურ სივრცედ მეგრული დატირება ჰქონდა ჩაფიქრებული. დიდხანს ეძებდა კომპოზიტორი დატირების შემსრულებელ მომღერალ-ქალს. ვინაიდან მისი უმთავრესი მოთხოვნა იყო ხალასი ხალხური კოლორიტის მოუთხლავი, დასაბამითი ხმა და ღრმა წრფელი განცდით შესრულებული დატირება. ამისათვის მან არაერთი ხალხური მომღერლის შესრულება მოისმინა, მაგრამ ამაოდ. რეჟისორმა ლანა ლოლბერიძემ წარსულში პოპულარული მომღერალი ქალი მეჩონგურე ქალთა ანსამბლის უცვლელი სოლისტი ელენე ჭუბაბრია გაიხსენა და მეორე დღესვე რევაზ ლალიძე, ლანა ლოლბერიძე და მხატვარი კოკა ივანატოვი სცენიდან კარგა ხნის წასულ მომღერალს შინ ეახლნენ. იმ ხანად ელენე ჭუბაბრიას მეუღლე ჰყოლია გარდაცვლილი, „ამის შესახებ მე არაფერი ვიცოდი, – იგონებდა შემდგომ რევაზ ლალიძე. – მობოდიშებით ვოხვავ საინტერესო ფილმი გამოგვდის და ერთი უმნიშვნელოვანესი დეტალი–მუსიკალური ფინალი, სიმღერით დატირება გვჭირდება, იქნებ დაგვეხმაროთ და მეგრული ხალხური მოთქმა ჩაგვაწერინოთ მეოქი, – მას პინძელმა ერთი ჩაილაპარაკა თავისთვის – „რა მემღერებაო“, მაგრამ, ერთბაშად უარი არ უთქვამს.

ჩაწერა ორი დღის მერე დაინიშნა. ელენე ჭუბაბრია დათქმულ დროს დაუგვიანებლად მივიდა სტუდიაში, სადაც სადადგმო ჯგუფის გარდა ნაცნობ მეგობრებიც შეგროვილიყვნენ. ჩართეს ფირი, მაგრამ, პირადი ტრაგედიით გათანჯულმა სხვათა თანდასწრებით მოთქმა-ტირილი ვერა და ვერ დაიწყო. კომპოზიტორმა სწრაფად აულო ალლო და გადაწყვეტილებაც მიიღო... ყველანი დაითხოვეს და კინოდარბაზის ჩაბნელებულ სიღრმეში სრულდოდ მარტო დარჩნა მომღერალი.

ეკრანზე ზღვის ბოლოქარი ტალღებისაკენ თავგამეტებით მიმავალი თეთრზეწარშემოსხმული მაია გამოჩნდა. მომღერალი ისევ ღუმდა, ფირი ხელმეორედ გაუშვეს. გაუბედავად, ჩუმად დაიწყო, ჯერ თითქოს საიდანღაც შორიდან მოისმა დაბალი ტესტურის საოცარი რბილი, ხავერდოვანი, ქეითინით შეზავებული ხმა, მეგრული დატირების მელიოდა, მერე თანდათან გაიშალა, აზვავდა და ისეთი სიმღერის მოთქმა-გოდებად გადმოიფრქვა, როგორც არსად არასოდეს მომისმენია. „ვაი დედა!“ მოთქვამდა გულდათუთქული ქალი. ეს ერთდროულად სიმღერაც იყო და ტირილიც. აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ ფილმის დამდგმელები, – იხსენებდა რევაზ ლალიძე. ეს დატირება ელენე ჭუბაბრიას უკანასკნელი ჩანაწერი იყო. შინ დარჩენილი თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე არც სცენას,

და არც ხმის ჩამწერ სტუდიას აღარ მიბრუნებია.

მანამდე კი იყო ხანგრძლივი და ძალზე ნაყოფიერი საშემსრულებლო მოღვაწეობა. მე-20 საუკუნის 30-40 წლებში ელენე ჭუბაბრია გახლდათ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და ღირსეულად დაფასებული მომღერალი ქალი, გურული და მეგრული საჩონგურო სიმღერების სწორუპოვარი შემსრულებელი. 30-იან წლებში სანამ ჩვენში აუდიო ჩანაწერის ტექნიკა დაინერგებოდა,



ერქომაიშვილის ძალისხმევა, ძველი გრამფირფიტების მატრიცების მიკვლევა, აღდგენა, დამუშავება და უნიკალური ჩანაწერების სერიის სახით გამოცემა, მომავალ თაობებს ელენე ჭუბაბრიას ხმის მოსმენა, მისი ხელოვნების დაფასება გაუჭირდებოდათ.

გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ თითქმის არ არის შემორჩენილი ფაქტობრივი მონაცემები ელენე ჭუბაბრიას პირადი ცხოვრების შესახებ. ნატა მოისწრაფიშვილი ელენეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ სანდო ინფორმაციის მოსაძიებლად შეხვდა მომღერლის ქალიშვილს მხატვარ დალი (ტული) ჭუბაბრიას, როგორც დალი ამბობს, უკეთილშობილესი ქალბატონი, მომღერალი, მეუღლე და დედა შეიძლება მაგალითადაც გამოადგეს მომავალ თაობებს.

ვირტუოზი მეჩონგურე ქალი, მეგრული სიმღერების დედოფალი ელენე ფაჩულია დაიბადა 1905 წლის 13 მარტს ბათუმში. მამამისი ალექსი ფაჩულია, ქალაქში ცნობილი პიროვნება გახლდათ, მეორე გილდიის ვაჭარი, 18 ოთახიანი კერძო საცხოვრებელი სახლისა და ორმოცამდე სხვადასხვა მაღაზიის მფლობელი. დედა–გურული ქალი, ანასტასია

აში წირვა რომ დამთავრდებოდა, მრევლი ფეხზე წამოდებოდა, მოდიოდნენ გუნდთან ვიღაც გენერლები, ხანში შესული ქალები და კაცები თვალცრმლიანნი, ხელში ტკბილეულით პირთამდე სავსე პარკებით და მეძებდნენ, ზოგი კანფეტებს მაწვდიდა, ზოგი ნამცხვარს ან რაიმე სასუსნავს და შინ დახუნძლული ვბრუნდებოდით ხოლმეო“. ასევე ელიჩკას ხელფასად ყოველთვიურად ოთხი ოქრო ეძლეოდა, რაც სწავლის ქირასაც უსტუმრებდა. მამის სურვილის წინააღმდეგ, ნიჭიერებისა და ნებისყოფის წყალობით 17 წლისამ წარმატებით დაამთავრა ბათუმის გიმნაზია, თავად დაიწყო მუშაობა სიმღერის მასწავლებლად და გუნდის ხელმძღვანელად ბათუმის ე.წ. მგელაძის სკოლაში და სობოროში გალობაც არ შეუწყვეტია.

1922 წელი ელენე ჭუბაბრია დავით ანდლულაძესთან ერთად აჭარის აკადემიურ გუნდში მღერის, ხელმძღვანელი მელიტონ კუხიანიძე. 1925 წელს კუხიანიძის გუნდს მთავრობამ სუბსიდიები გამოუყო და ყველაზე მაღალი ხელფასი ელენე ფაჩულიას დაენიშნა. მრავალი წლის შემ-

ღერების ბისზე შესრულებაც მოითხოვა. 8 იანვარს დიდ თეატრში გალა კონცერტი გაიმართა, რომელსაც 2200 მაყურებელთან ერთად სტალინი, მოლიტოვი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, ორჯონიკიძე და ბერია დაესწრნენ. ქართველ ოსტატთა კონცერტს საქალაქო რადიოგადაცემების ქსელის მეშვეობით მთელი მოსკოვი ისმენდა, ეს იყო ქართული ხელოვნების დიდი ზეიმი.

40-იანი წლების ბოლოს კინორეჟისორმა ვახტანგ ტაბლიაშვილმა ელენე ჭუბაბრია კინოფილმის „ქეთო და კოტეს“ გადაღებაზე მიიწვია. აქ იგი თავად ლევანის წვეულებაზე მრავალრიცხოვან მოქიფეთა შორის არის აღბეჭდილი. ეს ელენე ჭუბაბრიას ერთადერთი ცოცხალი გამოსახულებაა, რომელიც კონოეკრანმა შემოგვინახა.

50-იანი წლების ბოლოდან, მრავალი წლის მანძილზე, ყოველ საღამოს კეთილხმოვანი იავნანათი იწყებოდა და მთავრდებოდა საქართველოს რადიოგადაცემა ძილისპირული. ელენე ჭუბაბრიას თითოეულ სიმღერას საკუთარი ინტერპრეტაცია ჰქონდა, საინტერესოა ისიც, რომ სიმღერის დროს ელენე ჭუბაბრიას ტუჩების

ელენე ჭუბაბრია — სურთნებური სიმღერების სწორუპოვარი შემსრულებელი

ელენე ჭუბაბრიას ხმა ავკსენტი მეგრელიძის მეჩონგურე ქალთა ანსამბლისა და მისი ნიჭიერი სოლისტების: მარგო თედიშვილის, ანა კოროშინაძის, ქეთევან აფრასიძის, შესანიშნავი მოკრიმანჭულე ქალის ცაცა მამედოლიძისა თუ სხვათა შესრულებით, საქართველოს რადიოს პირდაპირ ეთერში თითქმის ყოველდღიურად ჟღერდა, მილიონობით რადიო მსმენელმა გულწრფელად შეიყვარა ელენე ჭუბაბრიას „ჩეღა“, „ვაი შური საყვარელი“, „დიდა ვოი ნანა“, კახური შაირები, „ლაღლები“ და მრავალი სხვა. ასევე იონა ტუსეკიას სიმღერები კინოფილმიდან „დარიკო“ 1936 წ. (რეჟისორი ს. ლოლიძე) და „ნარინჯის ველი“ 1937 წ. (რეჟისორი ნიკოლოზ შენგელია) 40-იან წლებში საქართველოს რადიოკომიტეტთან არსებული ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლის რეპერტუარში 200 მეტი ხალხური სიმღერა ყოფილა. მათ შორის საკმაო რაოდენობის ელენე ჭუბაბრიას შესრულებით ჟღერდა. გურულ-მეგრული საჩონგურო რეპერტუარიდან შემორჩენილია მხოლოდ ორი ჩანაწერი, მეგრული, ლირიკული ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებელ ნიკო ჩაჩიაიასთან ერთად. მეჩონგურე ანსამბლის და გუნდის თანხლებით ნამღერი „ძღაბი ღუდი“ და „დიდოუ ნანა“ (ვენგარა ნანა სქუა), რომელიც საქართველოს რადიოს ოქროს ფონდშია დაცული. რომ არა ანზორ

ჩხიკვიშვილი, 14 წლისა, თურმე უსიყვარულოდ, ანგარებით მიათხოვეს მასზე ორმოცი წლით უფროს, ხანდაზმულ ანგარიშიან, ხელმომჭირნე ვაჭარს, რამაც მძიმე დალი დაასვა ქალის ხანმოკლე ცხოვრებას. დღენიდაგ სევდიანი ახალგაზრდა ქალი საოჯახო საქმეს რომ მოითავებდა, ხელსაქმითა და დაკვრა-სიმღერით იქარვებდა გულის დარდს. ის შესანიშნავად უკრავდა გიტარაზე და ჩონგურზე. დედა—ოთხ გოგონასა და ერთ ვაჟს დაკვრა—სიმღერას ასწავლიდა. პატარა ელიჩკა სიბეჯითითაც გამოირჩეოდა, ერთთავად დედის გვერდით ტრიალებდა და სიმღერა-გალობასთან ერთად ყოველნაირი საქმეც მშვენივრად ათთვისა. მაგრამ დედამ 35 წლამდე ძლივს მიაღწია. ცოლის სიკვდილით დამწუხრებული, ისედაც მძიმე ხასიათის მამა, საკუთარ თავში ჩაიკეტა და შვილებზე, მათ სწავლა-განათლებაზე საერთოდ აიღო ხელი. ბედის ანაბარად დარჩენილ პატარა გოგონას სწავლის გასაგრძელებლად არავითარი სახსარი აღარ გააჩნდა. მშველელად კი გიმნაზიის სიმღერის მასწავლებელი და ლოტბარი იუსტინე კალანდაძე მოეწვინა. მის გუნდში პატარა ელიჩკა შვიდი წლიდან მღეროდა, ასევე გალობდა ქალაქის ეკლესიაში მაშინდელ „სამხედრო სობოროში“. მრევლმა მაშინათვე შენიშნა ერთი ციდა მგალობლის ტალანტი და გულთ შეიყვარა. დალი ჭუბაბრია იგონებს დედის ნაამბობს: „ეკლესი-



დებ ელენე იგონებდა ელენე „კუხიანიძესთან მუშაობა დაუვიწყარია ჩემს ცხოვრებაში. დიდი შემოქმედი და ოსტატი განსაკუთრებით მაფასებდა, ჩემთვის საკმარისი იყო მხოლოდ მომესმინა და ყველა პარტია ზეპირად ვიცოდი...“

1928 წელს ელიჩკას ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ცვლილება მოხდა, გასტროლებზე ელიჩკა მეუღლესთან ვალენტინ (შალვა) ჭუბაბრიასთან ერთად გაემგზავრა. 1932 წელს ელენე ჭუბაბრიას საპატიო სიგელით აჯილდოვებენ.

1936 წლის ივლისში საქართველოს ფრანგი და პოლანდიელი მწერლები ეწვივნენ, მათ შორის ნობელის პრემიის ლაურეატი ანდრე ჟიდიც იყო. ამხანაგ ა. მეგრელიძის გუნდს ანდრე ჟიდი დიდხანს უკრავდა ტაშს და სიმ-

მომრაობა ისეთი იყო, თითქოს, არც კი ამოდრავებდა. გასაკვირიც კი იყო, საიდან მოდიოდა საოცრად ნატიფი, ტკბილი, საამო ხმა. 1979 წლის 2 დეკემბერს აღესრულა ელენე ჭუბაბრია. დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე.

მადლიანი ქართველი ერი არ დაივიწყებს შესანიშნავი ქალბატონის შემოქმედებით ნიჭიერებას, რამეთუ, დღესაც სამაგალითოა საჩონგურო თუ სასიმღერო რეპერტუარის ჭუბაბრიასეული ინტერპრეტაცია.

ნანა ჯალალონია, კუპუ ლოლუას სახელობის ქართული ხალხური სიმღერის მუზეუმის („სამამზრემლო“) დირექტორი.



ჯემო ქვალონში ბრუცელოზი

დაფიქსირდა



დაავადების გამომწვევია ბრუცელოზის ჯგუფის ბაქტერიები, რომლებიც ადამიანებს მხოლოდ ცხოველებისგან (თხა, ცხვარი, ხარი და ღორი) გადაეცემა. ბრუცელოზის კერები გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს მეცხვარეობის რაიონებში და დასავლეთ საქართველოს იმ რაიონებში, სადაც განვითარებულია მსხვილი რქოსანი მესაქონლეობა. საქონელში ბრუცელოზი აბორტს იწვევს. ადამიანის დაავადება ალიმენტური (საჭმლის) გზით ხდება, ცუდად მოხარშული, არასაკმარისად შემწვარი ხორცის, უმი რძის და მისგან მომზადებული (ახალი ყველი და სხვა) ნაწარმის გამოყენებისას. ინფექცია შეიძლება გავრცელდეს კონტაქტის გზითაც - ცხვარში დო-

გრძელდება, შემდეგ ჩნდება დაავადების ნიშნები: ტემპერატურის მომატება, კუნთების ტკივილი, სახსრების ტკივილი და ანთება, ძლიერი ოფლიანობა, ზოგადი სისუსტე. ეს ნიშნები თანდათანობით ძლიერდება, 1 - 4 კვირის შემდეგ სუსტდება და ისპობა, მყარდება მშვიდი პერიოდი (რემისია). 1-4 კვირის შემდეგ დაავადება ისევ მწვავედება, მაგრამ ნაკლები ინტენსივობით. ასე მიმდინარეობს ბრუცელოზი რამდენიმე თვიდან 3 წლამდე, თუ ავადმყოფს არ დაესვა დიაგნოზი და არ დაეწყო მკურნალობა. ბრუცელოზი ადამიანებში სიკვდილიანობას არ იძლევა. იგი არ იძლევა მუცლის მოწყვეტას და დაავადებული ქალი ჯანმრთელ ბავშვს

შობს. ძუძუს წოვების პერიოდში ბავშვი ძლიერ იშვიათად ავადდება. დიაგნოზს ადასტურებს სისხლის სეროლოგიური (რაიტისა და ჰედ-ლსონის) რეაქციები, სისხლიდან ბრუცელის გამოიყვანება ან-ტიბიოტიკები (ლევიმიცეტინი, ტეტრაციკლინი, ოლეტეტრინი), ბრუცელოზის საწინააღმდეგო პოლივალენტური ვაქცინა. ნარჩენი მოვლენების სამკურნალოდ ინიშნება ფიზიოთერაპიული და ბალნეოთერაპიული პროცედურები. ადამიანის ბრუცელოზის პროფილაქტიკის რადიკალური საშუალებაა ცხოველებში ამ დაავადების აღმოფხვრა.

ივლისის დასაწყისში ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ქვალონში დაფიქსირდა ბრუცელოზის შემთხვევა. მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოძახებულ იქნა სპეციალისტთა ჯგუფი სოფლის მეურნეობის სამინისტროდან. მათ მიერ 146 სულ საქონელზე არსებული სინჯები გადაგზავნილია ზუგდიდის საველე ლაბორატორიაში. მოსახლეობას შეხვედნენ და არსებულ პრობლემაზე ესაუბრნენ მუნიციპალიტეტის გამგებელი ივორ ტყეშუაშვილი და მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უფროსი რევაზ წულაია.

ბამოსათხოვარი

ეთერ ჯობავა - თირქია



რაიონის ღვაწლმოსილ ადამიანთა რიგებს გამოაქვდა სახელოვანი მოქალაქე, პედაგოგი, დედა, ეთერ ვალერიანეს ასული ჯობავა. დაიბადა 1932 წელს სოფელ პირველ ხორგაში, იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. სრული კურსის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო მშობლიურ სკოლაში.

მეგობრები

მუსიკის ხმას ეკავითა სურნკლი ერწყმოდა

განათლების ცენტრის სამუსიკო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი მოსწავლეთა მუსიკალური განათლების ღონის ასაძაღვლებლად დაუღალავად იღვწის. სამუსიკო სკოლას სათავეში უდგას თავისი საქმით მეტად დაინტერესებული ქალბატონი თამარ ხუნწარია.

სკოლაში ხშირად ტარდება ვიქტორინა-კონკურსები. ამას წინათ ჩატარდა საზაფხულო ზეიმი, რომელიც შემაჯამებელ მუშაობად შეიძლება ჩაითვალოს. ღონისძიებას ღვაწლმოსილი პედაგოგი ნაზი გვახალია ხელმძღვანელობდა.

ყვავილებით მორთულ დარბაზში მუსიკა ისმოდა... მუსიკის ხმას ყვავილთა სურნელი ერწყმოდა, რომელიც საზეიმო განწყობას ქმნიდა. ღონისძიებას აკომპანიმენტს თავის საქმეზე უზოთოდ შეყვარებული ქალბატონი ია კაკულია უკეთებდა.

პედაგოგ ლამზირა ხურციას ხელმძღვანელობით ჩატარდა ვიქტორინა-კონკურსი, სადაც მონაწილეობდნენ IV-VI კლასის მოს-

წავლეები, მათი აქტიურობა და მუსიკალური ნაწარმოებების შესრულების დონე აღნიშნული მასწავლებლის მუშაობის ხარისხზე მიუთითებდა.


კონკურსში გამარჯვებული მოსწავლეები სიგელებით დაჯილდოვდნენ. ასევე ჩატარდა კონკურსი ფორტეპიანოში რუბრიკით - „ნორჩი პიანისტი“. სრულდებოდა ცნობილი კომპოზიტორთა ნაწარმოებები.

მოსწავლეთა აქტივობამ იმატა, ყველა პირველობისათვის იბრძოდა. რჩეულთა შორის რჩეული ნატა ქირია გახდა, რომელმაც პრიზი დაიმსახურა.

სამუსიკო სკოლის აღსაზრდელებს ღიადანს ემასხოვრებათ საზაფხულო ზეიმი, რომელიც მომავალში უკეთესი მუშაობის სტიმული გახდება.

ნატო შეროშია, განათლების ცენტრის დირექტორის მოადგილე.

სულთანა



მიხეილ იოსავა

უზომოდ გიყვარდა სიცოცხლე. მიეტოვებოდა ყოველივე კარგს, ამაღლებულს. სწავლის წყურვილი კვლავდა ძლიერ. სტუდენტობის წლები ზომრივანად მოახმარე ცოდნის დაუფლებას. ერთი სული გქონდა, როდის გამოცდიდი შენს შესაძლებლობებს შესაბამის სამსახურში, მაგრამ...

განგებამ უფრო ღიად მისია დაგაკისრა. სამშობლო გეძახდა... წამითაც არ დაფიქრებულხარ იმაზე თუ რას გიმზადებდა ბედისწერა. მაშულის სიყვარულით გულანთებული უმაღლესი ჩაღიქი მის სადარაჯოზე. ჭაბუკური ენერგიით აღსავსე გაეშურე შენი ქვეყნის დასაცავად. ბრძოლის ველამდე ვერც კი მიადწიე, ისე შეწყდა შენი ლამაზი სიცოცხლე. ძალიან ცოტა დრო გაიმე-

ჩემი მერაღიულთ მონატრებზე

ტა შენთვის განგება. ვაგლახ, რომ წუთისოფელი ასეა მოწყობილი. თაფლში მწარე ნაღველს ურევს. ამბობენ, ღმერთს რჩეულები მიჰყვასო, ალბათ, ასეა. თორემ, სხვა მხრივ, უღვთო იყო შენი სიკვდილი, ჩემო ლამაზო ბიჭო. გულმოკლული, სასოწარკვეთილი, განადგურებული ვიყავით მთელი ოჯახი, შვილო. სიკვდილს ვნატრობდით, ამ დროს ნათელი გამოჩნდა. უმძიმესმა ტრაგედიამ ეკლესიაში მიგვიყვანა. იქ ვიგრძენით შველა. უფაღს მივენდეთ. მან გვიჩვენა გზა, როგორ გავგვრძელებინა ცხოვრება უშენოდ. ჩვენი ეკლესიის მესვეურებმა-მამა ილიამ, ილუმენია ანამ, მამა კირიონმა, მამა კონსტანტინემ, დედებმა-ღვთიური მადლით მოფენილი საოცარი სითბო გავგრძნობინეს, უდიდესი ძალისხმევა გამოავლინეს ჩვენს გასამხნეველად, ცხოვრების ძალის მოსანიჭებლად. ეკლესიასთან მჭიდრო კავშირმა რწმენაში გაგვაძლიერა და სიმშვიდე მოგვაპოვებინა სულსა და სხეულში. ღვთიური ნუგეშისცემა ადამიანურ ნუგეშისცემაზე მეტი ყოფილა თურმე...

შენი მიღმურ სამყაროში გადანაცვლებიდან ორი სევდიანი წელი გავიდა, შვილო. მძიმეა, ძალიან მძიმე უშენობის სუსხი, მიშვიო გვენატრები ძლიერ. ამ უსაზღვრო მონატრების ტკივლს შენდამი აღწევს-

ლი ლოცვები და წმინდა სანთლები თუ დაგვიამებს მხოლოდ. გულმხურვალედ ვლოცულობთ შენი სულის უკვდავსაყოფად, შვილო. ძალუმაღ ვგრძნობ ჩვენ შორის უხილავი ძაფით გაბმულ კავშირს. მჯერა, დედის ლოცვები და წმინდა სანთლები გზას გაგინათებს მარადიულ სასუფეველში. ეს მამლევს ძალას ღვთიური საქმე ვაკეთო, ოჯახსაც მივხელო, მამაშენსა და შენს ერთადერთ დას ტკივილი შეგუმსუბუქო, მოხუც ბებიებსა და ბაბუებს მოვესიყვარულო, ვანუგეშო, სიცოცხლე გაუხსნარძლიყო. არავინ იცის, როდის მოუწევს წუთისოფლის დატოვება. ამიტომ არ მოეწყდეთ ღმერთს და მის ჭეშმარიტებას. ისე ვიცხოვროთ, როგორც უფალი გვასწავლის, თუ გვინდა მარად ღვთიური მადლი ეფინოს ჩვენს იმქვეყნიურ სამყოფელს.

უშფოთველად განისვენე ზეციურ საქართველოში ჩემო განუზომელო ტკივილი, ჩემო დილო დარლო, ჩემო მარადიულო მონატრებო, ჩემო ლამაზო ცისფერთვალე ბიჭო. ერთმანეთი გაეძლიეროთ, შვილო, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ შენმა უმანკო სულმა მშვიდად დაივანოს ცათა სასუფეველში. გვწამდეს, შენს სსოვნას დავიწყების ჩრდილი არასოდეს მოეფინება.

მარიანა იოსავა.

ხსოვნა

მოულოდნელი იყო შენი სიკვდილი, ვერ ვიჯერებდი შენს ლამაზ სულს როგორ უნდა დაეტოვებინა ეს ქვეყანა. შენ ზომ სიცოცხლით სავსეს სიკეთე, ხალისი და იუმორი გამდიდრებდა, საოცრად ავსებდი და ალაპაზებდი სიცოცხლეს შენ რომ აგრე გწყურდა. ის დაღვებით ენერგია შენგან რომ მოდიოდა სამუდამოდ შეწყდა...

შენ ყველაფრით გამორჩეული იყავი, საუკეთესო და უღალატო მეგობრობა იცოდი, იქნებ ამიტომაც შემოგვალამდა ცხოვრების ნახევარ გზაზე.

გია ცხაღაია

პირველი ავგისტო შენი დაბადების დღეა, ჭიაკოკონობის დამეს ვარ დაბადებული იტყვი, წაუღეს კი უშენოდ დადგა შენი შეუსრულებელი იუბილე. წელს ზომ 50 წლისა გახდებოდი, მაგრამ ვაგლახ, რომ მხოლოდ 46 იქმარე.

ხშირად გიხსენებთ იმ ოჯახში, სადაც მეგობრები გყავდა და სიყვარულით „ღებს შამათავეს“ გვეძახდი. ჩემი მოახლოებული ტრაგედიისა გამო შენს უკანასკნელ დღეს რამდენიმე წუთით მოვახერხე შენთან მოსვლა, კიდევ ერთხელ და საბოლოოდ მოგვეყრე, დაგემშვიდობე.

წახვედი და გაუნელებელი ტკივილი დაგვიტოვე, ცრემლიანი მოგონება, უსაზღვრო მონატრება. სიტყვა ვერ იტყვის, ქაღალდი ვერ დაიტევს გულისტკივლს, შენი წასვლით რომ დაგვიტოვე. თავს რად არ გაუფრთხილდი?! შენანები და მტკიცა შენი ნაადრევად შეწყვეტილი სიცოცხლე.

ჩემო ძმაო და მეგობარო, ჩემო გია, მჯერა სასწაულის... იმ ქვეყნად ჩვენი შეხვედრის. აქ კი უფაღს შევთხოვ ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული.

მანანა შამათაშვა.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა თანაუგრძნობს ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა განყოფილების უფროსს შორენა ძაძაძას მეუღლეს ფრიდონ კიმუღარიას გარდაცვალების გამო
შ.პ.ს. „სოპაროქტმშენის“ თანამშრომლები იუწყებიან ამავე წარმოების ყოფილი უფროსის, ამჟამად მთავარი ინჟინრის, ღვაწლმოსილი მუშაკის ნოდარ ლომაიას გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.
ანთიმოზ იოსავას ოჯახი სამძიმარს უცხადებს ნანა თირქიას და გელა ჯიშკარიანს დედის და სიღვრის ეთერი ჯობავას გარდაცვალების გამო.
შვილები: ნანა, მანანა, ვალერი. და ლილია. დისშვილები: გიჩა, ბესიკი ბარქაიბი. სიმე გელა ბეჟაშვილი. ძაღლები: გოგი, მურადი ჯაბუბი. მამიდაშვილები, ბაბიდაშვილები, დედაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა პოლმირა ვალერიანეს ძე გუპია

მემორიული „ოაზისში“ გადაინაცვლებს



სიუჟეტებს აწვდიდა ტელევიზიებს. ბევრი კარგი საქმის ინიციატორს უსაზღვროდ უყვარდა ნარდი. თანამოაზრეებთან ერთად ადგილობრივ ტურნირებსაც აწყობდა. უფრო დიდი მიზნებიც ჰქონდა, მაგრამ სიცოცხლით სავსე ვაჟკაცი მოულოდნელად წავიდა ამქვეყნიდან...

ძმის იდეებს პარლამენტარმა გოდერძი ბუკიამ შეასხა ფრთები. ოთხი წლის წინათ მისი ინიციატივითა და დაფინანსებით თბილისში მონარდეთა პირველი საერთაშორისო ტურნირი გაიმართა გოგი ბუკიას ხსოვნის აღსანიშნავად. მეოთხე

ცნობილი ჟურნალისტი გოგი ბუკია მრავალმხრივ შემოქმედი პიროვნება გახლდათ. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში „საქართველოს რესპუბლიკის“ კორესპონდენტი აქტიურად თანამშრომლობდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებთან, საინტერესო

მემორიალს წლეულს სასტუმრო „რადისონ ბლუ ივერიაში“ უმასპინძლა. ყველაზე მეტი დაინტერესება გამოიწვია ნარდმა საერთაშორისო წესებით. მთავარი პრიზისთვის ბრძოლაში, როგორც გაუწყეთ, მასპინძლებთან ერთად 16 უცხოელი ჩაება. ფინალშიც ისინი გა-

ვიდნენ. გადამწყვეტ პაექრობაში სომეხმა დიმიტრი პარუთიანიმა ესპანელ რიკარდო მალასს აჯობა 17:8. დამამჯიღებელ ტურნირში სიმონ ფანქველაშვილმა რევაზ ცხოვრებაშვილი დაამარცხა - 11:7, ბოლო შანსის პრიზი სომეხი ზაჩიკ მელიქიანის მძლეველ (5:3) ავსტრიელს ფრანც იოსებ ბერგს ერგო. წყვილებში პირველი ადგილი გივი შენგელიამ და ნუკრი სვანიძემ დაიკავეს, რომლებმაც სიმონ ფანქველაშვილსა და გიორგი ნოზაძეს მოუგეს.

- ბუკიას მემორიალზე შარშანაც ვიასპარეზე, მაგრამ მაშინ პირველსავე წრეში მომეცარა ხელი, ამჯერად კი ოთხ მეტოქეს ვძლიე და მთავარი პრიზი მოვიპოვე. გამარჯვებამ ძალიან გამახარა, - მითხრა დიმიტრი პარუთიანიმა. - საერთაშორისო ტურნირებზე ეს ჩემი პირველი წარმატებაა. დიდი მადლობა შეჯიბრების ორგანიზატორებს ასეთი ღამეში

ლონისძიების მოწყობისათვის...

- ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ინიციატივა ფრთებს შლის და ჩემი ძმის სიცოცხლე გრძელდება. დიდი მადლობა ყველას, ვინც დაგვაფასა და ტურნირზე გვესტუმრა, - აღნიშნა ასპარეზობის საზეიმო დახურვისას გოდერძი ბუკიამ. დღევანდელი ეკონომიკური კრიზისის პირობებში იოლი არ იყო ასეთი შეჯიბრების მაღალ დონეზე ორგანიზება. მაგრამ საქმეს არ ეღალატებოდა, რადგან გოგი ბუკიას მემორიალი ნარდის საერთაშორისო ფედერაციის კალენდარშია შეტანილი. სიმძლეების მიუხედავად, ექვსი ქვეყნის წარმომადგენლებმა დაგვაფასეს. ძალიან გვინდოდა, მთავარი პრიზი საქართველოში დარჩენილიყო მაგრამ... არა უშავს, შორს მაინც არ წასულა - მოძმე სომხეთის წარმომადგენელმა დაიმსახურა. დიმიტ-

რი პარუთიანის ვულოცავ წარმატებას.

დრო იცვლება და ნარდშიც სხვა მოთხოვნებია. მის პოპულარიზაციას მეტი გაქანება სჭირდება. ზაფხულობით თბილისში ძალიან ცხელა და მონარდებს დისკომფორტი ექმნებათ. ამიტომ გადავწყვიტეთ, შეჯიბრება სამომავლოდ ზღვისპირეთში გადავიტანოთ - გოგი ბუკიას მეხუთე მემორიალი ჩაქვის „ოაზისში“ გაიმართება.

ვაჟა დანელია, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“.



სკოლატი

სობის „კოლხეთის“ საკონტროლო მატჩი.

28 ივლისს გრიგოლეთში ლანჩხუთის „გურიის“ საწვრთნელ ბაზაზე გასვლითი საკონტროლო მატჩი გაიმართა სობის „კოლხეთ“-სა და უმაღლესი ლიგის წევრ ფოთის „კოლხეთს“ შორის. შეხვედრა დაძაბულად წარიმართა და დამთავრდა ფრედ 2:2. ხობელთაგან გოლები გაიტანეს კუტალიამ და ჩიტაიამ.

ხანძრის კერები სოფელ საჯიჯაოსა და ხეთა-ხამისკურის მონაკვეთზე.

5-ავგისტო 18-საათზე ხანძარი გაჩნდა სოფელ საჯიჯაოში (შეიშინების უბანში), ცეცხლი გაუჩნდა თხილის ფართობს (1500 კვ.მ). შემთხვევის მიზეზი ჯერჯერობით უცნობია.

ამავე დღეს დაფიქსირდა მეორე კერაც, ხამისკური - ხეთის მონაკვეთზე (500მ) ცეცხლი მოე-

დო მანდარინის პლანტაციას.

ხანძრის შესახებ შეტყობინება მიიღო ადგილობრივმა სობის მუნიციპალიტეტის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურმა. მათ უმოკლეს დროში მოახდინეს ცეცხლის ლოკალიზება. ამ დროისათვის შემთხვევის ადგილზე ხანძრის კერა აღარ არსებობს

მარიამ შონია-სილამაზის კონკურსზე აღიარებული პატარა „მის ხოზი“



ქ.ფოთი- სილამაზისა და ტალანტების კონკურსი „მის საოცრება“ და „მეგრული ლექსების დედოფალი“.

თბილისი-ეროვნული სილამაზის კონკურსი-პატარა მის საქართველო 2010 „ვიცე პატარა მის საქართველო 2010“.

მოწვევები; ფრანგული კომპანია „ევეროპა ფეშენ ცენტრი“

„უნივერსალ პროდაქშენი“ -პატარა მის ევრაზია 2010, სადაც მარიამმა უნდა წარადგინოს საქართველოს დროშა.

ტალანტის, ნიჭის და სილამაზის დღესასწაულია მასში..

მის ნაბიჯებს კი წარმატებისათვის სპონსორი სჭირდება,რომელიც, ვფიქრობთ იმ წარმატებულ პროექტში მიიღებს თანამონაწილეობას, რასაც ქართული სილამაზის ევრაზიის კონტინენტი-სათვის წარდგენა ჰქვია...

მოსახლეობის საყურადღებოდ!

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის „ვეტერინარიის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად ცხოველების მე-საკუთრებები ვალდებული არიან არ დაუშვან ცხოველების გაშვება იზოლირებული ტერიტორიების ფარგლებს გარეთ-ქალაქის ქუჩებში, პარკებში, სკვერებში და სხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.

მოხეტიალე, უპატრონოდ მყოფი

ცხოველები ექვემდებარებიან დაუყოვნებლივ დაჭერას შ.პ.ს „ხოზი დასუფთავება და განათება“-ს მიერ საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის 171 მუხლის მე-4 პუნქტის და ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 26 თებერვლის განკარგულება №116-ის შესაბამისად. ცხოველის დაჭერის შემთხვევაში საჯარიმო სანქცია განსაზღვრულია ფიზიკურ პირებზე 30 ლარის, ხოლო იურიდიულ პირებზე 100 ლარის ოდენობით. განმეორების

შემთხვევაში ფიზიკურ პირებზე-60 ლარს, ხოლო იურიდიულ პირებზე - 200 ლარის ოდენობით. დაჭერილი ცხოველის მესაკუთრე ვალდებულია სამი დღის ვადაში გადაიხადოს დაწესებული საჯარიმო თანხა. წინააღმდეგ შემთხვევაში შ.პ.ს. „ხოზი დასუფთავება და განათება“ უფლებამოსილია განახორციელოს პირუტყვის რეალიზაცია.

შ.პ.ს. „ხოზი დასუფთავება და განათება“-ს დირექტორი

უბედური შემთხვევა პირველ სორბაში



5 ავგისტოს სობის რაიონის სოფელ პირველ სორბაში 15 წლის გიგა ჯოლოხავა და მისი ბაბუა ნოდარ ქობალია დაიხრჩენენ. წინასწარი ინფორმაციით, ჯოლოხავა და ქობალია მდინარეზე გასაგრილებლად ჩავიდნენ,

რა დროსაც გიგა ჯოლოხავა დინებაში წაიღო და ბაბუა მის გადარჩენას შეეცადა, თუმცა ისიც დაიხრჩო. ნოდარ ქობალიას ცხედარი მდინარეში რამდენიმე კილომეტრის მოშორებით გამოჩნდა, რის შემდეგაც გიგა ჯოლოხავას ცხედრის ძიება დაიწყო. ფოთიდან მისულმა მყვინთავებმა მისი ცხედარი გუშინ საღამოს იპოვეს.

გაზეთი ხელმძღვანელობს თაზისუფალი პრემიის პრინციპებით

დამფუძნებელი: **ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო. გაზეთ „ახალი სამკუთხედის“ რედაქტორი მანანა შულაია ნომრის მორიგე ნანა კემულარია დამკაბადონებული ჯულიეტა ლატარია**

მის: ხობი, სტალინის ქუჩა №1 ტელ: 8 (214) 2-21-13; (879) 72-61-72
გამოდის კვირაში ერთხელ
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხოზის მოამბე“-ში.
დაიბეჭდა შ.პ.ს. „მ.გ.პ.“
გამომცემლობა „კოლორში“.
თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.
გამომცემელი შპს „ხოზის მოამბე“
დირექტორი ბეჟან ნადარია